ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 11 თებერვალი, 2020 №34 (8298) ფასი: 60 თეთრი

## გიორგი რურუას დნმ-ის ნიმუშები ძალის გამოყენებით აიღეს



გვ.5

ადვოკატმა საძაგლიშვილმა პროკურატურას მიმართა

11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



# გიგი უგულავას 3 წლით, 2 თვით და 8 დღით პატიმრობა შეეფარდა



გვ.2

ოპოზიციამ ხელისუფლებასთან დიალოგი შეწყვიტა

## უგულავა: „მე ბრძოლას ციხიდან გავაგრძელებ“

## სოსო ცინცაძე: „უგულავას დაპატიმრება „ოცნების“ საშიში შეცდომაა“

„დასავლეთი განგაშის ზარებს დარეკავს“



გვ.3

## გია ნოდია: „შესაძლოა აშშ-ის ტონი ამ განცხადებაში შერბილებულია, მაგრამ შინაარსი არ იცვლება“

„სააკაშვილი საკუთარი როლის გაზრდაზე ზრუნავს, რაც ოპოზიციის გაძლიერებას არ უწყობს ხელს“



გვ.3

## სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილი რევოლუციური სცენარისთვის ემზადება“



გვ.4

## ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილის რეიტინგი ნულს მიუახლოვდა“

„ჩაძირული გემიდან მორბენალი ნაცები და ქოცები საერთო გაერთიანებას შექმნიან“



გვ.4



გვ.5

## სუსმა თბილისის მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი და „ტექრეისერსის“ ფაქტობრივი მფლობელი დააკავა



გვ.5

## პეკინზე სამკაულების მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

ISSN 1987-9385

**3** ავარია გურჯაანში — 3 ადამიანი დაშავდა

**5** ახალციხეში მამაკაცმა ცოლის გაგუდვა სცადა

**6** იაპონიაში, საკრუიზო ლაინერზე კორონავირუსით დაავადებულთა რიცხვმა 130-ს მიაღწია

**6** ქალმა გარყვნილისგან თავი კორონავირუსის იმიტირებით დაიცვა

# გიგი უგულავას 3 წლით, 2 თვით და 8 დღით პატიმრობა შეეფარდა

## ოპოზიციამ ხელისუფლებასთან დიალოგი შეწყვიტა

გუშინ, 10 თებერვალს, უზენაესმა სასამართლომ გიგი უგულავა ე.წ. ფონდის საქმეზე თანხის გაფლანგვაში დამნაშავედ ცნო და 3 წლით, 2 თვით და 8 დღით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნულით უზენაესმა სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ბრალდება აცხადებდა, რომ გიგი უგულავამ თბილისის განვითარების ფონდიდან თანხები გაფლანგა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ გიგი უგულავას 1 წლითა და 3 თვის ვადით პატიმრობა შეუფარდა, თუმცა ეს სასჯელი სხვა საქმეზე დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა.

ე.წ. ფონდის საქმეზე სასამართლომ გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაცხადა.

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლოს გადაწყვეტილებამ პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში რადიკალურად შეცვალა.

– ჩვენ, ოპოზიციას, რომელიც აქ ვიკრიბებით, არ დაგვრჩა სხვა გზა გარდა იმისა, რომ შევწყვიტოთ ყოველგვარი მოლაპარაკებები, რაუნდები და კონსულტაციები პირსისხლიან ივანიშვილის რეჟიმთან.

ეს განცხადება ლეიბორისტების ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გიგი უგულავას მიმართ განაჩენის გამოტანის შემდეგ გააკეთა.

შალვა ნათელაშვილის თქმით, ოპოზიციური სპექტრი ქუჩის აქციებისთვის მზადების რეჟიმზე გადადის და ხელისუფლებასთან საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს წყვეტს.

– მივმართავ სრულიად საქართველოს, პირსისხლიანმა დიქტატორმა გადალახა წითელი ხაზები. მესამედ დააპატიმრა ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი, ბატონი გიგი უგულავა და ის ემზადება ახლა რეჟიმის ციხეში წასასვლელად. ეს არის საზოგადოებაზე, მთელ დემოკრატიულ თანამეგობრობაზე დაფურთხება. მთელი ზნეობრივი, დემოკრატიული, ადამიანური, ისტორიული ტრადიციების ფეხებზე დაკიდება. ამას არ აკეთებდნენ ყველაზე დაუნდობელი და სისხლიანი დიქტატორები კაცობრიობის ისტორიაში.



გადავდივართ სახალხო დაუმორჩილებლობის მომზადებაზე. ივანიშვილს ელოდება სახალხო სამსჯავრო, სადაც არ იქნებიან მის მიერ დაქირავებული ყალბდიპლომიანი იურისტები და მოსამართლეები. ეს სამსჯავრო მას ძალიან მალე მიაკითხავს საკუთარ სახლში.

ვიწყებთ კონსულტაციებს და მზადებას დიდი სახალხო ქუჩის ტალღის აგორებისთვის მთელ საქართველოში. ემზადოს რეჟიმი, ემზადოს იმისთვის, რომ მას უახლოვდება ხალხის მრისხანება, სამსჯავრო, მას უახლოვდება სამართალი და პოლიტიკიდან საბოლოო გასტუმრება, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მსგავსი რამ თქვა დავით ბაქრაძემ.

– დღეს სასამართლომ გვითხრა, თუ ბიძინა ივანიშვილი მოინდომებს, ნებისმიერ წარსულ საქმეზე, მიუხედავად იმისა, სასჯელი მოხდილი გაქვს თუ არა, ხელახლა მოგისჯით სასჯელს, ხელახლა გაგიშვებთ ციხეში. ეს კანონის იმიტაციაც აღარ არის, ეს არის პირდაპირი უკანონობა, რომელიც დღეს ქვეყანაში განხორციელდა.

ასეთ პირობებში „ქართულ ოცნებას“ უნდა ესმოდეს, განაჩენი, რომელიც დღეს დადგა გიგი უგულავას მიმართ, ეს არის განაჩენი ხელისუფლების. ხელისუფლებამ დღეს გადალახა ის ზღვარი, რომლის უკანაც პროცესები ველარ შემობრუნდება. მათ გადალახეს ის ზღვარი, რომლის იქითაც ქვეყანაში აღარ არსებობს ნორმალური პოლიტიკა და მოლაპარაკება.

ოპოზიციას შეუძლია მიიღოს ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც უკვე გაახმოვანა



### უგულავა: „მე ბრძოლას ციხიდან გავაგრძელებ“

ბატონმა შალვამ – დღეიდან, გიგი უგულავას განაჩენის დადგომის დღიდან, წყდება ყოველგვარი მოლაპარაკება.

ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას და გიგისთან ერთად, ვინც არის ამ ხელისუფლების მსხვერპლი, ქვეყანაში დავასრულებთ პოლიტიკურ მართლმსაჯულებას, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

გიგი უგულავასთვის განაჩენის გამოტანაზე გიგა ბოკერიამ ასეთი კომენტარი გააკეთა:

– სამიზნედ ამოღებული იყო გამორჩეული ლიდერი.

ბოკერიას თქმით, იმ მომენტიდან, როდესაც ივანიშვილმა განაცხადა, რომ ბევრი პოლიტიკური ლიდერი ციხეში აღმოჩნდებოდა, ყველასთვის ნათელი იყო, რომ მათ შორის გიგი უგულავაც იქნებოდა.

– იმ მომენტიდან, როცა ივანიშვილმა საჯაროდ და მისთვის ჩვეული უტიფრობით თქვა, რომ მალე ბევრი პოლიტიკური ლიდერი დიდი ხნით ისევ ციხეში აღმოჩნდებოდა, ყველასთვის ნათელი იყო, რომ გიგი უგულავა ამ სიაში მოწინავე რიგებში იქნებოდა, ობიექტური მიზეზების გამო.

ამაში არ ცდებოდა ივანიშვილის რეჟიმი, რომ სამიზნედ ამოღებული იყო გამორჩეული ლიდერი. აი, რაშიც ის ცდება მწარედ და პერსონალურად ტრაგიკულად, არის ის, რომ ამ რეპრესიით ის შეძლებს ან ამ ლიდერის პოლიტიკური პოზიციის გატეხვას, ან საზოგადოების პროტესტის ჩახშობას, – განაცხადა ბოკერიამ.

მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ნინო ბურჯანაძემ.

– აბსოლუტურად წარმოუდგენელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. მე არ მახსოვს არც ერთი პერიოდი, როდესაც ადამიანს ერთსა და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ ასამართლებდნენ. უსასტიკესი რეჟიმებიც კი იგონებდნენ რაიმე ახალს, რომლითაც ადამიანს მიუსჯიდნენ. ეს არის სამართლებრივი ნორმების დარღვევა და აბსოლუტური იგნორირება. ეს არის განცხადება, რომ საქართველოში კანონი აღარ არსებობს, – აღნიშნა მან.

ბურჯანაძის აზრით, ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ პროცესი კონსტრუქციული დერეფნიდან გადასულიყო ზღვარს მიღმა.

– ჩვენ მაინც შევეცდებით, რომ მწვავე და ხელისუფლების დასამარცხებელი ნაბიჯები გადავდგათ, მაგრამ ისეთი, რომ ქვეყანა არ დაზარალდეს, – დასძინა ნინო ბურჯანაძემ.



* * *

გიგი უგულავამ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაძლოა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივროს.

უგულავას თქმით, აღნიშნულ საკითხზე ადვოკატები ისაუბრებენ და სამართლებრივი ბრძოლა გაგრძელდება.

– მე არ ვაღიარებ არაფერს, არც ბრალს ვიღებ, მაგრამ ვიღებ სასჯელს. იმიტომ ვიღებ სასჯელს, რომ ივანიშვილის საქართველოში ციხე არის ის ადგილი, სადაც შეიძლება, ადამიანმა იპოვო თავისუფლება და მე ამ თავისუფლებას აუცილებლად ვიპოვი. სამართლებრივი ბრძოლა თავისი გზით გაგრძელდება, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ეს ნაწილი საერთოდ არაფერ კავშირში არ არის სამართალთან.

ეს არის გონებადაბინდული, შიშისაგან დამფრთხალი ადამიანის ქმედებები, რომელიც აზიანებს ქვეყანას, აზიანებს მის მომავალს და აზიანებს მის პერსპექტივას. ჩვენ ეს უნდა მივიღოთ მოცემულობად, უნდა მივიღოთ გამოწვევად და ჩვენ ეს უნდა დავამარცხოთ. ციხე, ამ შემთხვევაში, არის ერთ-ერთი შესაძლებლობა ბრძოლის და მე ამ ბრძოლას აუცილებლად გავაგრძელებ ციხიდან, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მან თქვა, რომ 20 ივნისის შემდეგ, ივანიშვილმა მისგან პასუხად ყველა პირდაპირ ეთერში დედის გინება მიიღო.

– მე მხვდა პატივი, გამეხმოვანებინა საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა, რომელიც ივანიშვილის კარგებს და კეთილებს კითხულობდა, – განაცხადა მან.

– ეს პოლიტიკური შურისძიებაა ბევრი რამის გამო. პირველი – როდესაც 20 ივნისს ივანიშვილმა მოლაპარაკება ჩაშალა, რათა ხალხი დაერბია, ჩემგან პასუხად ყველა პირდაპირ ეთერში დედის გინება მიიღო. დღესაც გავუმეორებ: 20 ივნისს, როდესაც მოლაპარაკება ჩაშალეთ და დათვის ტყვიები დაუშინეთ ადამიანებს, ივანიშვილის დედის გინება იყო ის ერთადერთი ენა, რომელსაც ის იმსახურებდა.

მე მხვდა პატივი გამეხმოვანებინა საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა, რომელიც ივანიშვილის კარგებს და კეთილებს კითხულობ-



და. ამ ადამიანმა თავის შიშებს გადააყოლა ხალხის ჯანმრთელობა და მხედველობა. ახლა ამ შიშის ინსტინქტით მოქმედებს და დღევანდელი დღეც ამის ნათელი დადასტურებაა.

ბატონი ივანიშვილი რაც უფრო მაგრად გაწელავს ზამბარას, მით უფრო მტკივნეულად მოხვდება ცხვირში, – აღნიშნა უგულავამ.

გუშინ მან არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ციხეში წასასვლელად მზადაა.

– მანქანა ჩალაგებულია, ყველა ნივთი, წიგნი და ა.შ. მომზადებული მაქვს. ბუნებრივია, მე ეს წინასწარ ვიცოდი და, შესაბამისად, მე თვითონ მივალ მათ მიერ მითითებულ ციხეში, – განაცხადა მან.

უგულავამ თქვა, რომ აპირებს, დაემშვიდობოს კოლეგებს, მივიდეს „ევროპული საქართველოს“ ოფისში და იქაც დაემშვიდობოს ხალხს.

– მე თვითონ მივალ მათ მიერ მითითებულ ციხეში. ისედაც სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას მაბრალებენ და ამჯერადაც ნუ გამოიყენებენ სახელმწიფო ბიუჯეტს არამიზნობრივად. მაცნობეთ მეგობრებო, როგორ უნდა აღვასრულო თქვენი უსამართლო, უკანონო, ბრიყვული და რეგვენული გადაწყვეტილება. მე არ ვაღიარებ არაფერს, არც ბრალს ვიღებ, მაგრამ ვიღებ სასჯელს იმიტომ, რომ ივანიშვილის საქართველოში ციხე ის ადგილია, სადაც ადამიანმა



შეიძლება თავისუფლება იპოვო, – განაცხადა უგულავამ.

* * *

მომხდარს გუშინ ხელისუფლების წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ.

– თუკი ვინმეს არ მოსწონს სასამართლოს გადაწყვეტილება, ეს არ არის ქვეყნის დასასრული, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ პოლიტიკური დევნა არსებობს, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, მათ შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო სასამართლოში გაასაჩივრონ.

– თუ გვინდა, რომ სახელმწიფო იყოს დემოკრატიული, პოლიტიკოსი იქნება, ოპოზიციონერი თუ რიგითი მოქალაქე, ყველას მიმართ უნდა იყო ერთი და იგივე მიდგომები. აქედან გამომდინარე, თუ ვინმეს, რომელიმე პირს, რიგით მოქალაქეს, პოლიტიკოსს, საჯარო მოხელეს, არ მოსწონს სასამართლოს გადაწყვეტილება, ამისთვის არსებობს შესაბამისი პროცესი. უზენაესი სასამართლო მართალია, ბოლო ინსტანციაა, მაგრამ გვაქვს საშუალება, საერთაშორისო სასამართლოშიც მოხდეს ამის გადასინჯვა, – აღნიშნა მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პოლიტიკური პროცესი და მართლმსაჯულება.

– შეიძლება მართლმსაჯულებაში რაიმე ტიპის ხარვეზები და პრეტენზიები გვქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქციო ეს პოლიტიკურ პროცესად.

რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ჯერ ერთი, უნდა ვთქვათ, რომ მოლაპარაკებები მათი მიზანი არ იყო და ეს უკვე გაცხადდა მას შემდეგ, რაც ეუთო/ოდირის დასკვნა გამოცხადდა. მათი მიზანი იყო, რომ ეჩვენებინათ დესტრუქციული ქმედებები.

ახლა ეს გადაწყვეტილება, რომელიც საერთოდ კავშირში არაა პოლიტიკურ მოლაპარაკებებთან, გამოიყენეს მიზეზად, რომ მათ არ სურთ მოლაპარაკებების გაგრძელება. ეს არ მიმაჩნია, რომ არის სერიოზული არგუმენტი, – განაცხადა მაჭარაშვილმა.

გია ვოლსკის კომენტარი კი ასეთი იყო:

– პროკურატურას პრეტენზია აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ გიგი უგულავამ 50 მლნ მოიპარა და ფიქრობენ, რომ არ დატოვონ ეს საკითხი ისე. აქედან გამომდინარე, რა კომენტარი უნდა გავაკეთო. მე ბავშვები ვიცი, 3-4 კგ ჯართის მოპარვისთვის 5-6 წელი ახეხინეს ციხე. ძალიან ვწუხვარ, იმდენად არ მომწონს ადამიანის დაკავება, მაგრამ ამ საკითხის მიმართ ჩემი პერსონალური დამოკიდებულება მას ვერ გადაწყვეტს, – განაცხადა ვოლსკიმ.

* * *

გუშინ საღამოს ევროკავშირის ელჩის პოზიცია გავრცელდა.

– ჩვენ გავაგრძელებთ დისკუსიას, რომ ვნახოთ, თუ როგორ უნდა წავიდეთ წინ, – განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა.

ელჩის თქმით, გიგი უგულავასთვის გამოტანილი განაჩენის შეფასების გაკეთება მისთვის ჯერ ადრეა.

– ჩემთვის ძალიან ადრეა ამ შეფასების გაკეთება. მე მოვისმინე განცხადება, ასევე მქონდა შესაძლებლობა, რომ ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერს გავსაუბრებოდი ამ საღამოს და ჩვენ გავაგრძელებთ აღნიშნულ დისკუსიას, რომ ვნახოთ, თუ როგორ უნდა წავიდეთ წინ.

ჩვენ გავაგრძელებთ დიალოგს სხვადასხვა მხარესთან, რომ გავიგოთ, როგორია ვითარება, – დასძინა კარლ ჰარცელმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დიზაინერი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გვერდების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ნოდია: „შესაძლოა აშშ-ის ტონი ამ განცხადებაში შერბილებულია, მაგრამ შინაარსი არ იცვლება“

## „სააკაშვილი საკუთარი როლის გაზრდაზე ზრუნავს, რაც ოპოზიციის გაძლიერებას არ უწყობს ხელს“

იაგო ნაცვლიშვილი



ამერიკელი კონგრესმენი და საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე ადამ კიზინგერი „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე მორიგ განცხადებას აქვეყნებს. კონგრესმენის თქმით, აუცილებელია, რომ საქართველოში მოთამაშე ყველა მხარეს შორის კომპრომისული ვარიანტი იყოს მოძებნილი საარჩევნო კანონმდებლობასთან მიმართებით. მის განცხადებას გამოეხმაურა ოპოზიცია და ხელისუფლების შერეულ ვარიანტს, 100/50-ზე საპასუხოდ 130/20-ზე სთავაზობს.

„შეხვედრის შემდეგ მე მქონდა შეხვედრა საქართველოს პოლიტიკური კრიზისის მონაწილე სხვადასხვა მხარესთან. მართალია, მიღწეულია პროგრესი, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ მომავალში ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის დარჩება გადაუჭრელი განსხვავებები/უთანხმოება. დემოკრატია იოლი არ გახლავთ. მართალია, პროტესტი ნორმალური მოვლენაა თავისუფალ ქვეყანაში, მაგრამ აუცილებელია, რომ იგი მშვიდობიანი იყოს. გარდა ამისა, მოქალაქეები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი მართლმსაჯულების სისტემა სამართლიანია ყველასთვის, დამოუკიდებელი და თავისუფალი პოლიტიკური მიკერძოებისგან. აუცილებელია, რომ საქართველოში ყველა დაინტერესებული/მონაწილე მხარე წავიდეს კომპრომისზე, რათა მიღწეული იყოს მათი მიზანი დემოკრატიასა და თავისუფლებასთან დაკავშირებით“ – ვკითხულობთ ამერიკელი კონგრესმენის წერილში.

რით უნდა აიხსნას ტონის შერბილება ამერიკელი კონგრესმენის მხრიდან? რას უნდა ველოდოთ ხელისუფლებისგან და რამდენად თანმიმდევრულია ოპოზიცია თავის ქმედებებში, მაგალითად, ხომ არ არის დამაზიანებელი მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ახალი იდეა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ნოდია** საუბრობს:

***– ამერიკელმა კონგრესმენმა ადამ კიზინგერმა შეარბილა ტონი. ეს იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ არჩილ თალაკვაძემ ნაყოფიერად იმუშავა ამერიკაში ვიზიტის დროს თუ უბრალოდ ხელისუფლებას აძლევენ დროს, ასე რომ ვთქვათ, გონს მოეგოს?***

– რომელ განცხადებას გულისხმობთ, დამიზუსტეთ და გიპასუხებთ.

***– „ტვიტერში“ დაწერა და ყველა მხარეს კომპრომისული გადაწყვეტილებისკენ მოუწოდა და ამავე დროს ხაზგასმულია მართლმსაჯულების საკითხებიც, ეს გზავნილია, რომ არ იყოს პოლიტიკური დაჭერები?***

– მე არ ვთვლი, რომ ეს პოზიციების პრინციპული შერბილებაა. ის აგრძელებს იმ თემას, რომ საქართველოში კარგად არ არის საქმე. სხვანაირად ამის შეხსენება საჭირო არ იქნებოდა და არც გააკეთებდა ამას. განცხადება, რომ ყველა მხარემ კომპრომისს უნდა მიაღწიოს, ეს ნიშნავს, რომ ოპოზიციის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული ამ საარჩევნო სისტემაში. ეს ნიშნავს იმას, რომ მართლმსაჯულების და სამართალდამცავი სისტემა არ არის წესრიგში საქართველოში.

ასე რომ, რაღაც კონკრეტულ განცხადებაში ტონი შეიძლება იყოს ცოტა უფრო მკაცრი, ან ცოტა უფრო რბილი, მაგრამ შინაარსი არსებითად არ იცვლება.

***– ტონის შერბილებისას მხედველობაში მაქვს ისიც, რომ საინტერესო შეხვედრები ჰქონდა, ამბობს, რომ ისინი რჩებიან საქართველოს მეგობრებად.***

– დიახ, მაგრამ ისინი ყოველთვის იმეორებენ, რომ საქართველოს მეგობრებად რჩებიან, მაგრამ საქართველოს მეგობრობა და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მეგობრობა ერთი და იგივე არ არის. თავისთავად, როგორც ჩანს, დააფასეს ის ფაქტი, რომ არჩილ თალაკვაძე, უფრო სწორად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სპეციალურად ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი განცხადებების საპასუხოდ და ეცადა, რაღაც არგუმენტები წარედგინა და დაერწმუნებინა, რომ საქმე არც ისე ცუდად არ არის. ზრდილობის ამბავია, რომ ზრდილობიან ტონში გააკეთეს საპასუხო განცხადებები.

***– ანუ, ეს დიპლომატიად უნდა აღვიქვათ?***

– რა თქმა უნდა. ესეც და მათი ყველა განცხადება საკმაოდ დიპლომატიურ ჩარჩოებშია მოქცეული. მაქსიმალურად მცდელობაა, რომ ხელისუფლების მიმართ კრიტიკა ზრდილობისა და დიპლომატიის ჩარჩოებში იყოს და ამით გააწონასწორონ იმის თქმით, რომ ისინი არიან საქართველოს მეგობრები და საქართველო რაკიღა ცნობილია რეგიონში, ტრადიციულად დემოკრატიის თვალსაზრისით, როგორც ლიდერი ქვეყანა, სწორედ ამის გამო აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

***– ხელისუფლებისთვისაც ხომ არ არის დროის მიცემის მომენტი, რომ გამოასწოროს რაღაცები და იპოვოს კომპრომისული ვარიანტი?***

– დროის მიცემა ცოტა გაურკვეველია რას ნიშნავს. საქართველოს ხელისუფლება არ არის რაღაც ქვეშევრდომი თუ რაღაც ამგვარი ამერიკის ხელისუფლებისთვის. ამერიკის ხელისუფლება ვერ უბრძანებს, რომ ვთქვათ, რაღაც მითითება არ შეასრულა საქართველოს ხელისუფლებამ და ახლა მის გამოსასწორებლად დრო მისცეს.

რომ არ შეასრულოს რაღაც დავალება თუ მითითება, მერე რას იზამენ, თალაკვაძეს მოხსნიან თუ ბიძინა ივანიშვილს?! საკითხი ასე არ დგას. ისინი ამბობენ, რომ ეს არის პრობლემა და, ჩვენი აზრით, ეს უნდა გამოსწორდესო. ისინი ვერ განგვისაზღვრავენ დროს, იმიტომ, რომ მათ განწყობა ჩამოუყალიბდებათ იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც საქართველოში წარიმართება პროცესები. ამის მიხედვით ჩამოყალიბდება ამერიკის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით, ეს არის ზოგადი პრეამბულა. ეს ბერკეტი არსებობს მათთვის და არა ის, რომ რაღაც დავალება მისცენ საქართველოს ხელისუფლებას და მერე შეამოწმონ და თუ საქართველო ამ დავალებას არ შეასრულებს, მერე დასაჯონ. ასეთი ბერკეტი აშშ-ს არ აქვს.

***– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? გაითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლება სტრატეგიული პარტნიორის რჩევებს?***

– ჯერჯერობით არ ჩანს, რომ გაითვალისწინოს. მას ნამდვილად უნდა, რომ შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს კარგი ურთიერთობა აქვს შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან. უნდათ ვითარება წარმოაჩინონ იმგვარად, რომ ეს ქვეყნები ძირითადად პოზიტიურად აფასებენ საქართველოში არსებულ ვითარებას. ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ დღეს უკეთესი ვითარებაა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამ თვალსაზრისითაც შეიძლება თქვან, რომ აი 100%-ით კი არ ვეთანხმებით, მაგრამ ბევრ რაღაცას ვიზიარებთო. რაღაც ასეთი შთაბეჭდილების შექმნა უნდა.

ამ ფონზე მათ ასევე უნდათ, რომ მინიმალური დათმობები გააკეთონ, განსაკუთრებით საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ საარჩევნო სისტემაში თუ სერიოზულ დათმობებს გააკეთებენ, ეს ძალიან ზრდის იმის შანსებს, რომ დაკარგავენ ხელისუფლებას.

***– უკვე გამოეხმაურა ოპოზიცია და ევროპული საქართველოს წარმომადგენლებმა თქვეს, რომ მუშაობენ კომპრომისულ ვარიანტზე. ჩანს თუ არა, რომ ოპოზიციის მხრიდან თანმხვედრი ნაბიჯების გადადგმა ხდება?***



– ოპოზიციასაც უნდა აჩვენოს, რომ ის კონსტრუქციულია და არ არის რადიკალური და ა. შ. ოპოზიცია ამ სულისკვეთებით მუშაობს, მაგრამ კონკრეტულად რა იქნება შეთავაზება და რამდენად დაეთანხმება სახელისუფლებო პარტია, რომ ეს მართლაც მისაღები კომპრომისია, ამას ვნახავთ. გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ რაღაც კომპრომისი მიღწეული იქნება. მაგრამ, ამის ძალიან დიდი იმედიც არ უნდა გვქონდეს.

***– ოპოზიცია დღევანდელ მოცემულობაში თანმიმდევრულია? მაგალითად, რამდენად გამართლებულია სააკაშვილის 2 დღის წინ გაკეთებული გზავნილები შტაბის შექმნის თაობაზე? ბოლო პერიოდში მოხდა ოპოზიციის ერთიანობის მიღწევა და სააკაშვილის ეს გზავნილი მის გახლეჩას ხომ არ შეუწყობს ხელს?***

– ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში სააკაშვილი არ ზრუნავს ოპოზიციის ერთიანობასა და თანამშრომლობაზე, ის ზრუნავს საკუთარ პოზიციონირებაზე. მას უნდა, რომ რაღაცნაირად ხელში ჩაიგდოს ინიციატივა პირადად მან, როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა. ეს არის მისი მოტივი და არა ის, რომ ოპოზიცია გაძლიერდეს მთლიანობაში. ჩემი აზრითაც ეს არ უწყობს ხელს ოპოზიციის გაძლიერებას. ნაბიჯი, რომელიც გადადგა სააკაშვილმა, ოპოზიციის გაძლიერებას არ ემსახურება, მაგრამ იმედი აქვს, რომ პირადად მისი როლი გაიზრდება.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, გაიზრდება ამით სააკაშვილის როლი?***

– არ ვიცი. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ გაიზრდება, მაგრამ ეს ჩემი შეფასებაა. ვნახოთ, გაიზრდება თუ არა და რას ნიშნავს გაზრდა. ჩემთვის ცხადია, რომ სააკაშვილის მოტივი ეს იყო, რომ მისი როლი გაიზარდოს.

# სოსო ცინცაძე: „უგულავას დაპატიმრება „ოცნების“ საშიში შეცდომაა“

## „დასავლეთი განგაშის ზარებს დარეკავს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, ხელისუფლება აცხადებს, რომ მოლაპარაკებების მე-5 რაუნდი ბოლო იქნება, რასაც ბურჯანაძემ უპასუხა, რომ შეიძლება ხელისუფლებას მე-6 რაუნდი დასჭირდეს. თუ შეთანხმება ვერ მოხდა, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– დამოუკიდებლობის პერიოდში ჩატარებული არჩევნებიდან, 2020 წლის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია. უფრო მნიშვნელოვანი და უფრო მტკივნეულიც კი, ვიდრე 2012 წლის არჩევნები. თითქოს, ორივე მხარე უკანასკნელ ბრძოლებს ატარებს. თითქოს, ორივე მხარეს აქვს გაცნობიერებული, თუ ეს არჩევნები წააგეს, ეს ნიშნავს, ორივემ, როგორც ოპოზიციამ, ისე „ქართულმა ოცნებამ“, დაასრულოს პოლიტიკური ცხოვრება. ოპოზიცია თუკი წააგებს ამ არჩევნებს, ძალიან ძნელი სავარაუდოა, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის შევიდეს ფორმაში. თუ „ქართული ოცნება“ წააგებს, ის საერთოდ გაქრება. ამიტომ, ორივე მხარისთვის ეს არჩევნები არის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება.

თუ შეთანხმება ვერ მოხდება და მოქმედი სისტემით ჩატარდება არჩევნები, შემდეგი ეტაპი დამოკიდებული იქნება შედეგებზე. ასევე იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება ამ ყველაფერზე დასავლეთს და რა დოზით მოახდენს „ქართული ოცნება“ არჩევნებზე ზეგავლენას ადმინისტრაციული რესურსით თუ კიდევ სხვა ხერხებით. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება, ქვეყნის შიგნით რამდენად იქნება ამომრჩეველი პოლიტიკურად აქტიური.



შევარდნაძე საერთოდ არ აპირებდა გადადგომას, გარე ძალები რომ არ ჩარეულიყვნენ. „სახლში მივდივარ“ – ეს დღეს უკვე ფრთიანი ფრაზა და მაშინ ძალიან დიდი პოლიტიკური ნაბიჯი, უცებ არ მოსვლია შევარდნაძეს თავში.

***– ამერიკის როლი გადამწყვეტი იქნება?***

– რასაკვირველია. ასე იყო სააკაშვილის დროსაც.

***– დღეს ხელისუფლება პროპორციულ არჩევნებზე უარს ამბობს.***

– დარწმუნებული ვარ, პროპორციული არჩევნები საქართველოში არასდროს არ იქნება, რაც არ უნდა ეწეროს კონსტიტუციაში. მაჟორიტარები ამას არასდროს დაუშვებენ. საქართველოში მაჟორიტარები დაუმარცხებელ კასტად, კლანად იქცა. მაჟორიტარები უკვე მმართველ ფენად ჩამოყალიბდნენ და ეს მოხდა ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან.

ჩვენ ხომ წარმოდგენა არ გვაქვს, რა ბიზნესებს აკონტროლებენ, რა კარტელურ შეთანხმებებს აბამენ ხელისუფლებასთან. ეს არის სრულიად უკონტროლო ფენა, რომელიც ასე შეეზარდა ხელისუფლებას და რომელსაც სახელად მაჟორიტარები ჰქვიათ. მაჟორიტარები ქმნიდნენ ამინდს ბიზნესში და ახლა ამინდს ქმნიან პოლიტიკაშიც.

მათ მილიონები შეაქვთ პარტიაში და შემდეგ ათმაგი უკუგება აქვთ. ამერიკაშიც აფინანსებენ ბიზნესმენები პარტიებს და ეს შეწირულობა სავსებით კანონიერია, მაგრამ ამერიკულ შეწირულობას პარტიისადმი და ქართულ შენაწირს არავითარი საერთო არ აქვთ.

***– ისევ მოლაპარაკებებს რომ დავუბრუნდეთ, არც ერთი და არც მეორე მხარე არ აპირებს დათმობას.***

– ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური ვაჭრობაა. აქ არაფერი არ არის ექსტრავაგანტული. 100-50-ზე 135-15-ზე და ა.შ. ასეთი შეთავაზებები ყოველდღე ხდება ყველგან, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ოპოზიციის მოთხოვნები „ქართული ოცნებისთვის“ ყოველდღე ცეცხლის ხაზს უახლოვდება. „ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს. უგულავას დაპატიმრება ხელისუფლების ძალიან საშიში შეცდომაა და უკვე დასავლეთი განგაშის ზარებს ჩამორეკს. ამის მერე კონგრესმენების და სენატორების წერილები უკვე ხავერდოვან ფურცლებად მოგვეჩვენება.

არადა, ხელისუფლებისთვის ყველაზე უმტკივნეულო, ცივილიზებული ბერკეტი სოციალური მდგომარეობის გამოსწორება იქნებოდა. სოციალური მდგომარეობის, რომელიც ფარავს სრულიად საქართველოს. მაგალითად, ლევან მურუსიძე იქნება თუ არა მოსამართლე, შეიძლება აღელვებდეს თბილისის მხოლოდ პოლიტიკურ ელიტას ან პოლიტიკაში კარგად გაცნობიერებულ ადამიანს, სოციალური მდგომარეობა, ლარის კურსი კი მთელს ქვეყანას ეხება.

„ოცნებას“ რომ ჰქონდეს ჯადოსნური ჯოხი, რომლის აქნევითაც ლარს გაამყარებდა, მშიერს დააპურებდა, სამუშაო ადგილებს შექმნიდა, მაშინ ყველაფერზე დათანხმდებოდა ოპოზიციას, რადგან მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ არ თანხმდება სწორედ იმიტომ, რომ იცის, რომ პრობლემებს ვერ მოაგვარებს.

ხელისუფლებამ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ეკონომიკის გაძლიერებაზე ხელი ჩაიქნია, ამიტომ ხდება ეს ყველაფერი.

***– სააკაშვილის პირადი შტაბი როგორ უნდა განვიხილოთ?***

– სააკაშვილი, როგორც გენეტიკურად პოლიტიკოსი, ყნოსვით გრძნობს, რომ ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება და, რასაკვირველია, თამაშგარე მდგომარეობაში არ უნდა დარჩენა. ამიტომ, ის ეძებს ნებისმიერ ფორმატს.

***– ნებისმიერ ფასად?***

– რასაკვირველია, ის თვითგადარჩენისთვის იბრძვის. კრიტიკულ მომენტებში ის ყოველთვის ადგილზეა, ყოველ შემთხვევაში, თავს ახსენებს ყველას, რომ ის აქ არის. სააკაშვილს თავისი გადამწყვეტი ქულები ერთხელ უკვე აღებული აქვს და ახლაც იგივეს ცდილობს, არ ნებდება.

კიდევ ერთი, სააკაშვილმა დაკარგა ამერიკელების მხარდაჭერა, ამას ის მტკივნეულად განიცდის, ამიტომ ცდილობს, როგორმე შეძლოს კვლავ ფორმაში დაბრუნება.

# ავარია გურჯაანში

## 3 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 10 თებერვალს, გურჯაანში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. თვითმხილველების თქმით, ერთმანეთს საპირისპიროდ მოძრავი ფორდის და ოპელის მარკის მსუბუქი მანქანები შეეჯახა. დაშავებულები სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სამედიცინო კვლევა ჩაუტარდათ. პაციენტების მდგომარეობა, წინასწარი ინფორმაციით, სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე მუხლით დაიწყო.

# სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილი რევოლუციური სცენარისთვის ემზადება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ლიდერი **სანდრო ბრეგაძე** პასუხობს.

***— ბატონო სანდრო, კეთდება შეფასებები, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადებამ, შტაბის გახსნის თაობაზე, გაერთიანებული ოპოზიციის შიგნით ყველაფერი თავდაყირა დააყენა. რა ხდება, რა თამაში წამოიწყო სააკაშვილმა?***

— სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ე.წ. ოპოზიციის გარკვეული ნაწილი გარიგებულია ხელისუფლებასთან, თანაც საკმაოდ დიდი ხანია. ეს არის გიგა ბოკერიას ე.წ. ევროპული საქართველო და პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩი“. პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩი“, თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა. სწორედ „ოცნებამ“ გადაუხადა მათ რამდენიმე მილიონი იმისათვის, რომ ისინი გამოსულიყვნენ ნაციონალური მოძრაობიდან და შეექმნათ თავიანთი პარტია. ისევე, როგორც ბოკერიასთან ჰქონდა მოლაპარაკებები ხელისუფლებას და ბოკერიამაც დატოვა ნაციონალური მოძრაობა და შექმნა თავისი პარტია. სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ბოკერიაც, გირჩიც და კიდევ რამდენიმე პარტია, გადამწყვეტ მომენტში ითამაშებენ იმ თამაშს, რა თამაშსაც მათ ხელისუფლება შეუკვეთს. ეს მშვენივრად იცის მიშამ და ცდილობს თავიდანვე გაემიჯნოს, მოიცილოს, ვიდრე ბოლო წამში გადააგდოს. ეს არის ერთგვარი კლანური დაპირისპირება ნაციონალურ მოძრაობას შორის.

***— რაზე ვერ შეთანხმდნენ, რას ვერ იყოფენ?***

— ვერ იყოფენ არა, აქ სხვა რაღაც ხდება. სააკაშვილი ემზადება რევოლუციური სცენარისთვის...

***— და არ მიყვება დანარჩენი ოპოზიცია?***

— მათ ოპოზიციას ვერ ვუწოდებ, ეს არის ჩვეულებრივად იმ ადამიანების თავყრილობა, რომლებიც, ჩემდა სამწუხაროდ, დაუჯდნენ მიხეილ სააკაშვილს გვერდით. ამბობენ, რომ პოლიტიკაში ყველაფერი მოსულაო, მაგრამ ჩემთვის, მორალურად ის, რაც დღეს ხდება, მიუღებელია. კარგად გვახსოვს, ნიკა გვარამია პირდაპირ აცხადებდა ძმებ ბერძენიშვილებს რუსეთის აგენტებად, იგივე შალვა ნათელაშვილს. ნინო ბურჯანაძეს რაც დამართეს, ყველამ ვნახეთ, ქვეყნის და ერის მოღალატედ აცხადებდნენ. წლები ვმეგობრობდი გუბაზ სანიკიძესთან და ყოველგვარ მორალს სცდება ის. კარგად გვახსოვს მისი და მიშას დამოკიდებულება და დღეს მასთან თანამშრომლობს. არის რაღაცები, რასაც ხაზს ვერ გადაუსვამ, როდესაც ადამიანზე იძახი, რომ რუსეთის აგენტია, რომ ქვეყნის მოღალატეა და მერე იმ ადამიანთან ერთად ერთ მაგიდასთან ჯდები, ჩემთვის ეს ამორალურია.

***— საერთო მიზანი გვაქვს და ყველაფერი მოსულაო...***

— საერთო მიზანი და ყველაფერი მოსულა რომ არის, ყველაფერი მოსულათი რომ მოდიან და ყველაფერს რომ კადრულობენ იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, ეს არის ჩვენი ქვეყნის უბედურება წლების განმავლობაში. ეს არის შევარდნაძის მიერ გამოზრდილი ავაზაკების ხროვა, ნაცმოძრაობას და ევროპულ საქართველოს ვგულისხმობ, რომლებმაც წლების განმავლობაში დააქცია ქვეყანა. ჰკითხეთ შალვა ნათელაშვილს, ჰკითხეთ ნინო ბურჯანაძეს, რამდენჯერ გააყალბა ხათუნა გოგორიშვილმა არჩევნები?! შალვა ნათელაშვილის თქმით, ხათუნა გოგორიშვილი არის სახელმწიფო დამნაშავე და დღეს ამ სახელმწიფო დამნაშავესთან ერთად ერთ საქმეს რომ აკეთებ, ეს რა მორალში ჯდება?! მე გული მწყდება გუბაზ სანიკიძეზე, ნინო ბურჯანაძეზე, შალვა ნათელაშვილზე, კახა კუკავაზე, წლებს ითვლიდა ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა და დღეს ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ერთ მაგიდასთან სხედან. ნაცმოძრაობაზე გული არასოდეს დამწყდება, იქ სულ დამნაშავეები, ქვეყნის მოღალატეები და სადისტები არიან.



***— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს რევოლუციური სცენარით დაბრუნება სურს და დანარჩენები არ თანხმდებიან ამაზე?***

> **წლები ვმეგობრობდი გუბაზ სანიკიძესთან და ყოველგვარ მორალს სცდება ის. კარგად გვახსოვს მისი და მიშას დამოკიდებულება და დღეს მასთან თანამშრომლობს. როდესაც ადამიანზე იძახი, რომ რუსეთის აგენტია, რომ ქვეყნის მოღალატეა და მერე იმ ადამიანთან ერთად ერთ მაგიდასთან ჯდები, ჩემთვის ეს ამორალურია.**

— სააკაშვილს გადაწყვეტილი აქვს რევოლუცია და მაიდანი საქართველოში. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ძალიან კარგად ჩანს. თუმცა სააკაშვილს არ სჭირდება ამ რევოლუციურ სცენარში ისეთი ადამიანები, რომლებიც ბოლო წამს განუდგებიან. ამიტომ მიშა ამ გზაზე იცილებს ამ ადამიანებს თავიდან. სააკაშვილი არ არის იმდენად ბრიყვი, რომ არ სცოდნოდა, მის ამ განცხადებას მოყვებოდა დიდი აღშფოთება. ამავე დროს, ყველამ კარგად ვიცით, რომ ოიდიპოსის კომპლექსი აქვთ სააკაშვილის მიმართ მის ყოფილ თანაპარტიელებს, რადგანაც პირად ურთიერთობებში სააკაშვილი არ გამოირჩეოდა მათთან განსაკუთრებული მორალური მდგრადობით.



***— რას გულისხმობთ?***

— მე ამ თემას ამაზე მეტად არ განვავრცობ, რადგან არის რაღაცები, რაზეც არ საუბრობენ მამაკაცები. სწორედ სააკაშვილთან დაკავშირებული კომპლექსის ბრალია ჩერგოლეიშვილის ესოდენ გაცეცხლება. მას კომპლექსი აქვს მიშას მიმართ, თუმცა, ნუ მომთხოვთ ამის თქმას, ფრჩხილებს არ გავხსნი და არ ვიტყვი, რა კომპლექსზე ვსაუბრობ. თუ რაღაცებს ისინი იტანდნენ მიშას ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ამას იტანდნენ თანამდებობაზე ყოფნის ხარჯზე. თუმცა, რაც სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ არის, იმ ბოღმამ და პირადმა შურისძიებამ ამ ადამიანებში გაიღვიძა.

***— ბატონო სანდრო, აშშ-ში ვიზიტის შემდეგ „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ 100/50-ზე ეს არის ჩვენი ბოლო შეთავაზება ოპოზიციისთვის. რაზეც ოპოზიცია თანახმა არ არის. ეს საბოლოო ვარიანტი იქნება?***

— ყველაზე ცუდი ის არის, რომ დღეს წარმოჩენილია ასე: ხელისუფლება და ეს რაღაც ვითომ ოპოზიციური გაერთიანება. სინამდვილეში ეს ასე არ არის. არის სხვა პოლიტიკური ჯგუფები, რომლებსაც ბევრად მეტი მხარდამჭერი ყავს, ვიდრე იქ წარმოდგენილ პარტიებს. ბაჩუკი ქარდავას პარტიაში სულ რამდენი წევრიც არის, იმდენი წევრი ქართულ მარშს, მარტო ვაზისუბნის რაიონულ ორგანიზაციაში ყავს. სწორედ ესაა საქმე, რომ დღეს ხელისუფლებასაც აწყობს, რომ მისი მოწინააღმდეგე სწორედ ბაჩუკი ქარდავა და მისნაირები იყვნენ. სწორედ „ოცნებას“ აწობს, რომ ამ ჯგუფებმა დაიწყონ ეს რადიკალური ღონისძიებები. მას რომ ნამდვილი ოპოზიცია უჯდეს პირისპირ, მაშინ „ოცნება“ ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება. ამიტომ თავად ხელისუფლება უწყობს ხელს, რომ სწორედ ბოკერია, სააკაშვილი და ეს პოლიტიკური ჭუჭყი და ნაგავი იყოს მისი მოწინააღმდეგე და მას არ დაუპირისპირდნენ, იგივე ეროვნული ძალები.

***— რას ელოდებით, რა ვარიანტი დარჩება?***

— ამ ფორმატის შედეგი არაფერი არ იქნება. ეს არის უბრალოდ ფორმატი, რომელსაც არანაირი შედეგი არ ექნება და რომელიც საბოლოო ისევე დაიშლება, როგორც თავის დროზე ბითლზები დაიშალა. არ შეიძლება სერიოზულად შევხედოთ ამ ფორმატს.

***— რას ელოდებით, რას შემოგვთავაზებს ივანიშვილი? საარჩევნო წელია.***

— ივანიშვილი რომელ მოედანზეც არ უნდა გაიყვანო, ყოველთვის, ყველა პირობებში ნებისმიერ არჩევნებს მოუგებს ნაცმოძრაობას და მის განშტოებებს. ერთი ლარიც რომ არ დახარჯოს ივანიშვილმა არჩევნებზე, თუ მეორე მხარეს სააკაშვილი და ბოკერია იქნება, ივანიშვილი ამ არჩევნებს მოიგებს. მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული პრობლემები აქვს ხელისუფლებას, თუ საპირწონე ძალად ესენი იქნებიან, ხალხი მაინც ივანიშვილს დაუჭერს მხარს. ეს მშვენივრად იცის ბიძინა ივანიშვილმა და ის თავისი აპრობირებული მეთოდით მიდის. რა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ასე არ მოიგო?! მოიგო იმიტომ, რომ მათი ერთადერთი ალტერნატივა იყო პირსისხლიანი ჯალათი სააკაშვილი და ბოკერია! აი ამით მოიგო.

***— რა გამოდის, რომ 2020-შიც იგივე შედეგს ელით?***

— თუ ესე გაგრძელდა, იგივე იქნება. აქეთ მიშა, იქით ბიძინა და კრება დარჩება მხიარული! სააკაშვილი, რა თქმა უნდა, გაიბრძოლებს, მოინდომებს რევოლუციას, დაიწყებს რევოლუციური სცენარის თამაშს და...

***— და ეს ყველაფერი ივანიშვილის თამაშია?***

— რა თქმა უნდა, ასეა. „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის ყველაზე დიდი სიძლიერე დღეს არის ბოკერია და სააკაშვილი.

# ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილის რეიტინგი ნულს მიუახლოვდა“

## „ჩაძირული გემიდან მორბენალი ნაცები და ქოცები საერთო გაერთიანებას შექმნიან“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას.**

***— ოპოზიციური სპექტრი მოზომილად და დიპლომატიურად გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის ანონსს იმის შესახებ, რომ იგი მარტიდან დისტანციურად უფრო აქტიურად ერთვება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავის მიერ შექმნილ ბიბლიოთეკაში შტაბს ქმნის. ნაცმოძრაობის თავმჯდომარეობიდან მიდის გრიგოლ ვაშაძე. რა პროცესები მიმდინარეობს?***

— გრიგოლ ვაშაძე ნაცმოძრაობის ფიქტიური თავმჯდომარეა. ეგ ისეთივე თავმჯდომარეა, როგორებიც იყვნენ „ქართულ ოცნებაში“ გიორგი კვირიკაშვილი და სხვები. ნაციონალური მოძრაობის ნამდვილი ლიდერი ყოველთვის სააკაშვილი იყო, „ქართული ოცნებისა“ კი – ივანიშვილი.

ივანიშვილი ფორმალურად წასული იყო, მერე პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნდა. სააკაშვილი სხვანაირად ბრუნდება – შტაბს აწყობს. ცოტა ხანში, ივანიშვილს საარჩევნოდ გაუჭირდება და შეიძლება პრემიერადაც დაბრუნდეს.

გრიგოლ ვაშაძეს, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, არც პარტიაში და არც საგარეო მინისტრობისას ხალხისთვის თავი არ დაუმახსოვრებია. საზოგადოება მას ყოველთვის იცნობდა ნინო ანანიაშვილის მეუღლედ. ბოლო ხანს გრიგოლ ვაშაძემ თავი გამოიჩინა თავისი ხულიგნური გამოხდომებით და უწმაწური გამონათქვამებით. ისე იქცეოდა, როგორც არ ეკადრება არავის. მით უფრო, იმ პარტიის ლიდერს, რომელიც მთავარ ოპოზიციად ითვლება. ნაციონალებს პარტიაში შიგნით დიდი უთანხმოება აქვთ.

***— სააკაშვილი შტაბს თვითონ უხელმძღვანელებს. ეს რას მოიტანს?***

— სააკაშვილის შორს ყოფნა აწყობთ როგორც ნაციონალებს, ისე „ოცნებას“. „ქართული ოცნებისთვის“ სააკაშვილი ძველი საფრთხობელაა. ნაცმოძრაობის ელექტორატისთვის კი – იმედის მომტანი ზეპო. „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟს, ჭაში მჯდარ ზეპოს, ხალხისთვის იმედი მოაქვს. ასეა სააკაშვილიც, რომელიც მომხრეებს



ჩამოსვლას და ყველაფრის მოგვარებას ჰპირდება.

***— ნაცმოძრაობიდან ამ დღეებში გამოვიდნენ ნინო კალანდაძე, ზაზა ბიბილაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი და სხვები.***

— ამით განსაკუთრებულად არაფერი შეიცვლება. შეიძლება ისინი „ქართულ ოცნებასთანაც“ აღმოჩნდნენ. ცოტა ნაცი გახდა ქოცი? მით უმეტეს, ახლა, კოაბიტირებული გემი იძირება. ხალხი გარბის „ოცნებიდანაც“ და ნაცმოძრაობიდანაც. არ არის გამორიცხული, გარიცხულები და გამოსულები ერთად დადგნენ.

***— კერძოდ?***

— ჩაძირული გემიდან მორბენალი ნაცები და ქოცები, ალბათ, საერთო გაერთიანებას შექმნიან. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხს ისინი ვერ დააინტერესებენ. ხალხს უკვე ორივე ძალა და მათი ანასხლეტები ყელში ჰყავს ამოსული.

***— სააკაშვილი მიიზიდავს ადამიანებს?***

— სააკაშვილი ზენიტში რომ იყო, მაშინ წააგო პოლიტიკური ბრძოლა. ეს დანაშაულებრივი რეჟიმი იყო, მაგრამ მაინც ჰყავდა მხარდამჭერები. მას შემდეგ სააკაშვილი დღითიდღე კარგავს გავლენას და ავტორიტეტს. რამდენიმე კაცს თუ დაიყენებს გვერდით, ეგ იქნება.

საპარლამენტო არჩევნებზე სააკაშვილის ძალას ბარიერის გადალახვა გაუჭირდება. 30-ზე მეტი პარტია რომ გაერთიანდა და დღემდე გაიძახიან, დიდი ძლიერი ერთობა ვართო. როგორ არიან ძლიერები, როცა ხალხი ვერ გამოიყვანეს!

***— ამბობენ, რომ ხალხის სრული მობილიზაცია მათ გეგმებში არც შედიოდა.***

— როგორ არ შედიოდა! ფულიც ბევრი იხარჯება ამ საპროტესტო აქციებზე. სასტვენები და სხვა ნივთებიც ფული ღირს. თითო პარტიას, კანონით, მინიმუმ, 1.000 წევრი უნდა ჰყავდეს. გამოჩნდა, რომ ამ ოპოზიციურ ერთობაში მყოფ პარტიებს წევრებიც არ ჰყავთ. თუ ივანიშვილმა ძალით არ გააცოცხლა, ეს პარტიები მკვდრები არიან.

სააკაშვილის გააქტიურებით და შტაბით მოხდება ამ ოპოზიციური ერთობის დასუსტება. ეს ოპოზიციური ერთობა ისედაც არ უქმნის პრობლემებს ივანიშვილს, თუმცა, მას ურჩევნია,

> **„გრიგოლ ვაშაძე ნაცმოძრაობის ფიქტიური თავმჯდომარეა“**

თუ ამ ერთობას ვიღაცას დაატაკებს. თავის პარტიაშიც ასე აჯახებს სხვადასხვა ჯგუფს ერთმანეთს. ამიტომაა, რომ „ოცნებაში“ ერთმანეთს ჭამენ.

***— აღნიშნეთ, რომ ხალხს არც ქოცები და არც ნაცები არ უნდა. არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ასე არაა.***

— არჩევნების შედეგებს ნუ დავეყრდნობით. ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა. საპარლამენტო არჩევნების დროს 10.000 საჩივარი იყო, თუმცა, ყუთები არ გახსნილა და ისინი საჩივრებად დარჩა.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ კანდიდატსაც და ნაცმოძრაობის კანდიდატსაც დაუმატეს ხმები. არმისული ამომრჩეველი კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე გვეუბნებიან.

პირველი ტურის შემდეგ გაფითრებული ივანიშვილი ხალხს ეხვეწებოდა დახმარებას. დაგვპირდა, ერთ წელიწადში ბევრ რამეს მივხედავო. მას შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია გაუარესდა. ხალხი უფრო გაღარიბდა და გამწარდა. სულიერების მხრივ იმაზე უარესი ვითარებაა, რაც სააკაშვილის დროს იყო.

მოსახლეობის 70-მდე პროცენტი ემიჯნება სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც და იმ ოპოზიციურ ერთობასაც, რომელსაც ტყუილი ამბიციები აქვს. თქვენს გაზეთს ბევრი მკითხველი ჰყავს და მინდა დავამშვიდო ადამიანები, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან სხვა, გაუსვრელი ძალის გამოჩენას. მათ ვეტყვი, რომ ცოტაც მოითმინონ. ხალხი ლამის ყოველდღე მაჩერებს მაღაზიებში და სხვაგან და სურვილს გამოთქვამს, მხარი დაუჭიროს პატრიოტ გაუსვრელ სახეებს.

***— ხალხს ეჩქარება სხვა ძალების ხილვა პოლიტიკაში. ამაზე ბევრი ლაპარაკობს.***

— გაუსვრელი, ხალხის ინტერესების გამტარებელი ძალა რომ ახლა გამოჩნდეს, ნაცები, ქოცები, სააკაშვილი, ივანიშვილი და მათი მოკავშირეები მის წინააღმდეგ გაერთიანდებიან და ჭამას დაუწყებენ. ეს ძალა მოგვიანებით გამოჩნდება. შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს. ეს ძალა მოახერხებს ადამიანების საარჩევნო ყუთებთან მიყვანას. თუ საჭიროდ ჩათვლის, ხალხის დიდ მობილიზაციასაც მოახდენს, რომ არჩევნების გაყალბება არ გაბედონ. არჩევნები თუ გაყალბდა, მერე ნაცები და ქოცები ერთმანეთს გაასწრებენ ქვეყნიდან.

***— ივანიშვილის მოწოდება ახსენეთ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ. ახლა რა მდგომარეობაშია ივანიშვილი?***

— ძალიან ცუდ მდგომარეობაში. მისი რეიტინგი ნულს მიუახლოვდა. ხალხი უიმედოდაა, მშიერი და დაუცველია. ადამიანებს სამართლიანობის იმედი დაეკარგათ. ირღვევა ადამიანის უფლებები. ერთადერთი, რაც არ ხდება, ქუჩებში ადამიანების მასობრივი დახვრეტა და წამებაა.

სააკაშვილის რეჟიმი უფრო სისხლიანი იყო. პირადად მე 3 წელიწადი არაფრის გამო, ტყუილად ვიჯექი სააკაშვილის ციხეში, შემდეგ კი სინდისის პატიმრად მაღიარეს. ივანიშვილი ჯერ ამ დონემდე არ მისულა, თუმცა, არ ვიცი, რა იქნება.

თავიდან სააკაშვილიც არ იყო უზომოდ სასტიკი. მერე გაუჭირდა და დესპოტად გადაიქცა. თუ ძალიან გაუჭირდა, შეიძლება ივანიშვილმაც დაიწყოს მასობრივი რეპრესიები.

# გიორგი რურუას დნმ-ის ნიმუშები ძალის გამოყენებით აიღეს

## ადვოკატმა საძაგლიშვილმა პროკურატურას მიმართა



გიორგი რურუას ადვოკატი პროკურატურას მიმართავს და გამოძიების დაწყებას მოითხოვს. საკანში გადაღებული ვიდეომასალის მედიაში გასაჯაროების შემდეგ, დაკავებულის უფლებადამცველი აცხადებს, რომ ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება, რომ რურუას საქმე თავიდან ბოლომდე გაყალბებულია. დიტო საძაგლიშვილი ამბობს, რომ გავრცელებულ ვიდეომასალაში იკვეთება სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი დანაშაული. მისი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ადვოკატები მოატყუეს, მსგავსი მეთოდით შევიდნენ რურუასთან საკანში და ძალის გამოყენებით ამოიღეს დნმ-ის ნიმუშები.

– ის გარემოება, რომ თითქოსდა მათ ამის უფლება ჰქონდათ, არ შეესაბამება სინამდვილეს. მათ ჰქონდათ უფლება, რომ შესულიყვნენ, თუმცა მათ ეს უნდა გაეკეთებინათ ადვოკატის მონაწილეობით და რაც ხდება მერე უკვე ვიდეოკადრებზე, ცალსახად ადასტურებს დანაშაულის ჩადენას.

ეს სასამართლო განჩინებაში ნამდვილად არ ყოფილა მითითებული, რომ პარკებში ჩაეყარათ პირადი ნივთები და გასულიყვნენ საკნიდან ისე, რომ არანაირი დოკუმენტი არ შეედგინათ. გიორგი რურუა აქეთ არის დანაშაულის მსხვერპლი და რეალურად დამნაშავეები არიან ის პოლიციელები, რომლებიც ამ მოქმედებას ასრულებდნენ, – განაცხადა ადვოკატმა დიტო საძაგლიშვილმა. 9 თებერვალს ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ გავრცელდა ვიდეომასალა, სადაც ჩანს, რომ სამართალდამცავებმა გიორგი რურუას დნმ-ის ნიმუშები ძალის გამოყენებით აიღეს. პენიტენციური დაწესებულების განცხადებით, არსებობდა ნებართვა, რომ თუ ბრალდებული კვლავ უარს განაცხადებდა დნმ-ის ნიმუშის აღებაზე, საგამოძიებო მოქმედება იძულების წესით ჩატარდებოდა.

გიორგი რურუა 18 ნოემბერს პარლამენტთან მიმდინარე აქციის დატოვების შემდეგ დააკავეს. სამართალდამცავები მას იარაღის უკანონო ტარება-შენახვას ედავებიან. დაკავებული ბრალს არ აღიარებს.

# ხაზარაძის, ჯაფარიძისა და წერეთლის სასამართლო 25 თებერვლამდე გადაიდო



თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძემ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის გუშინდელი, 10 თებერვლის, სასამართლო პროცესი გადადო.

მოსამართლის განცხადებით, პროცესი ავთანდილ წერეთლის გარეშე ვერ გაგრძელდება. სხდომა 25 თებერვლამდე გადაიდო. შესაბამისი შუამდგომლობა დაცვის მხარემ, ავთანდილ წერეთლის ადვოკატმა, კახა წერეთელმა დააყენა და პროცესზე წერეთლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტი წარადგინა. როგორც ადვოკატმა განმარტა, ავთანდილ წერეთელი კვლავ სამედიცინო დაწესებულებაში რჩება და პროცესის გადადებაც ამ მიზნით სურს.

შეგახსენებთ, რომ მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს 24 ივლისს ბრალი წარედგინათ ჯგუფურად, 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით). რაც შეეხება ავთანდილ წერეთელს, მას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დახმარებაში ედება ბრალი.

# პეკინზე სამკაულების მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე სამკაულების მაღაზიის გაქურდვის ფაქტი გახსნეს – დაკავებულია 1 პირი, 3 იდენტიფიცირებულია. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 7 თებერვალს, 3 თანამზრახველთან ერთად, უკანონოდ შეაღწია თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე სამკაულების მაღაზია „რედბერში“ და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 10.780 ლარის ღირებულების ვერცხლის სამკაულებს, რის შემდეგაც ოთხივე პირი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ზ.ს. ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დააკავა. სამართალდამცველებმა ბათუმში, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნაქურდალი სამკაულები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

პოლიციის მიერ ამავე საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იდენტიფიცირებულია სამივე თანამზრახველი, რომელთა მიმართ დამატებით მტკიცებულებების მოპოვებისა და მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, ტარდება სხვადასხვა სახის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. 1984 წელს დაბადებულ, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევ ზ.ს.-ს ბრალი ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ საცავში ან სადგომში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობაში, რამაც დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ საცავში ან სადგომში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობას, რამაც დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ახალციხეში მამაკაცმა ცოლის გაგუდვა სცადა

გუშინ, 10 თებერვალს, ახალციხეში მამაკაცმა ცოლის გაგუდვა სცადა. დაშავებული ქალი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ, სხეულის დაზიანებებით ახალციხის კლინიკა „იმედში“ შეიყვანა.

– ქალბატონს კისრის არეში აქვს ზედაპირული დაზიანებები, – აღნიშნეს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურში.

დაზარალებული სამედიცინო დაწესებულებაში დატოვეს.

– ახლა ნორმალურადაა, მოტეხილობა ან რაიმე მძიმე დაზიანება არ აღენიშნება. მოხრჩობის მცდელობა იყო, სისხლჩაქცევები აქვს ყელის არეში. რაც საჭირო იყო გავაკეთეთ, გამოკვლევები აღარ უტარდება, მაგრამ რჩება ჩვენთან, – აღნიშნა კლინიკურმა მენეჯერმა მზია კაკოშვილმა.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

# ს.ო.-ს ბინაში მაკაროვის პისტოლეტი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა უპოვეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში ერთი პირი დააკავეს. 1984 წელს დაბადებული ს.ო.-ს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ედება. ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

# სუსმა თბილისის მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი და „ტექრეისერსის“ ფაქტობრივი მფლობელი დააკავა

სუს-მა 2 პირი დააკავა, 3 პირი კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისების და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე ქ. თბილისის მერიის ააიპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებაში დახმარების ფაქტზე შპს „ტექრეისერს“-ის ფაქტობრივი მფლობელი დააკავეს, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სამი პირი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა, წინასწარი განზრახვის შესაბამისად, 34.550 ლარით გაზრდილ ფასად შპს „ტექრეისერს“-ისგან შეისყიდა 23 ერთეული კომპიუტერი, ე.წ. „ლეპტოპი“, გაზრდილი ფასის შედეგად დარჩენილ სხვაობას კი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა შპს „ტექრეისერს“-ის დირექტორისა და ამავე კომპანიის ფაქტობრივი მფლობელის დახმარებით.

ასევე, ააიპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ში, სააგენტოს ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა, თავისი რეკომენდაციით, 2019 წლის აგვისტოში დაასაქმა ორი პირი, რომლებიც მასთან წინასწარი შეთანხმებით არ ასრულებდნენ დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, არ ცხადდებოდნენ სამსახურში, სახელფასო ბარათები გადაცემული ჰქონდათ ადმინისტრაციის ყოფილი უფროსისთვის, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა აღნიშნული პირების სახელზე ჩარიცხულ 29.000 ლარს.

გამოძიება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თაღლითობის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით მითვისების, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებაში დახმარების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის თ.ა.-ს 10 წელი მიესაჯა



რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებული თ.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 2 მაისს, გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში, თ.ა. უკანონოდ ინახავდა, ასევე უკანონოდ შეძენილ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას – 12.32 გრ. ჰეროინს.

სამართალდამცველებმა თ.ა. 2019 წლის 2 მაისს, გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. რუსთავის საქალაქო სასამართლომ თ.ა. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# აჭარაში ოჯახში ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული გ.ხ. ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლეს – 1985 წელს დაბადებულ მ.ა.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# პორნოვარსკვლავები მოდის ჩვენებაში მიიღებენ მონაწილეობას




პორნოვარსკვლავები პირველად მიიღებენ მონაწილეობას მაღალი მოდის ჩვენებაში ნიუ-იორკის მოდის კვირეულის ფარგლებში და ამას ქალების მხარდასაჭერად გააკეთებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდებისთვის განკუთვნილი ფილმების რამდენიმე მსახიობი, რომელთა შორისაც არიან ასა აკირა, მარიკა ჰეიზი და ჯეიდ კუში პოდიუმზე ბერლინური ბრენდის ნამილიას კოლექციის ჩვენების დროს გამოვლენ.

ბრენდის შემქმნელებმა ნან ლიმ და ემილია პფოლმა კოლექციას ეროტიკა დაარქვეს და განმარტეს, რომ საგანგებოდ მოიწვიეს სპეციალური მონაწილეები, რათა ქალთა უფლებები შეახსენონ ყველას.

# ღამურები ქალაქს შეესივნენ და მისი მცხოვრებლები შეაშინეს



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ინგემში ათასობით ღამურამ ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებული გახადა, სახლებში ჩაკეტილიყვნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ დაფარეს ცა ღამურებმა. ასევე ისინი მოკალათებულები იყვნენ ხეებსა და სახლების სახურავებზე. ცხოველების შემოსევის გამო სანიტარიული ავიაცია იძულებული გახდა, თავისი საქმიანობა შეეჩერებინა. მრავალი მცხოვრები სახლიდან გარეთ აღარ გამოდის და არც შვილებს უშვებენ სკოლაში.

– ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა მთელი ავსტრალიის ღამურებმა თავი ინგემში მოიყარეს, – განაცხადა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა რაიმონ ჯაიომ.

ადგილობრივი პოლიტიკოსის ბობ კატერის თქმით, დროა იარაღს მოკიდონ ხელი და დაუპატიჟებელი სტუმრების დახოცვა დაიწყონ.

– ზოგჯერ დგება ისეთი მომენტი, როდესაც კანონის დაცვისკენ სწრაფვა მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს, – აღნიშნა პოლიტიკოსმა, – ვფიქრობ, რომ ახლა სწორედ ეს დრო დადგა.

ქალაქის მცხოვრებლებმა აქვე ისიც აღნიშნეს, რომ მათ ქალაქში ღამურების შემოსევას ტურისტების შემოსევაც მოჰყვა.

# ტრამპის რეიტინგი გაიზარდა




იმპიჩმენტის ჩავარდნის შემდეგ ტრამპის რეიტინგი გაიზარდა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ტრამპს მხარს უჭერს 49%. მისით უკმაყოფილო კი 50%-ია.

იმპიჩმენტის პროცედურამდე ტრამპის მხარდამჭერთა რაოდენობა 44%-ს არ აღემატებოდა.

ამასობაში თეთრ სახლთან 25 წლის მამაკაცი დააკავეს, რომელიც ტრამპის მოკვლით იმუქრებოდა. მამაკაცი, თეთრ სახლთან მას შემდეგ დააკავეს, რაც მან უსაფრთხოების ოფიცერს თავისი გეგმები გაუმხილა.

როჯერ ჰედგფედმა ოფიცერს განუცხადა, რომ თეთრ სახლთან ტრამპის მოსაკლავად მივიდა და ამის დამადასტურებელი დანაც აჩვენა.

მამაკაცს ადგილობრივ კლინიკაში სამედიცინო ექსპერტიზას ჩაუტარებენ.

# იაპონიაში, საკრუიზო ლაინერზე კორონავირუსით დაავადებულთა რიცხვმა 130-ს მიაღწია




საკრუიზო გემ დაიამონდ პრინცესზე კორონავირუსის დამატებითი 60 შემთხვევა დადასტურდა. გემზე, რომელიც იაპონიის დედაქალაქის სამხრეთით კარანტინშია გაჩერებული, მთლიანობაში ვირუსის 130 დადასტურებული შემთხვევა ფიქსირდება. კრუიზზე დაახლოებით 3.700 ადამიანი იმყოფება, მათ შორის 2.670 მგზავრია. კიდევ ერთ გემზე მყოფ ადამიანებს, რომლებიც ჰონგ-კონგში იყვნენ საკარანტინოდ გაჩერებული, კრუიზის დატოვების საშუალება მას შემდეგ მისცეს, რაც 3.600 პირის ანალიზებმა კორონავირუსზე უარყოფითი შედეგი აჩვენა.

კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობამ 900-ს გადააჭარბა. ამ დროისთვის ვირუსით დაინფიცირების 40.171 დადასტურებული შემთხვევაა გამოვლენილი.

# აზერბაიჯანში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ალიევის პარტიამ მოიგო



აზერბაიჯანში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, მმართველმა პარტიამ „ახალმა აზერბაიჯანმა“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. 125 ადგილიდან მმართველ პარტიას 65 ექნება.

ოპოზიცია არჩევნების მსვლელობაში დარღვევებზე საუბრობს და აცხადებს, რომ შედეგები გაყალბებულია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ინდოეთში წყლის ონკანებიდან ალკოჰოლური სასმელი წამოვიდა



ინდოეთის კერალას შტატში მრავალბინიანი სახლის წყლის ონკანებიდან ალკოჰოლური სასმელი წამოვიდა.

ადგილობრივებმა ეს რამდენიმე დღის წინ აღმოაჩინეს. მათ ამ ყოველივეში ადგილობრივი ხელისუფლება დაადანაშაულეს და სასმელი წყლის უქონლობის გამო დაიჩივლეს. მათი თქმით, ბავშვებმა სკოლაში, ხოლო თავად სამსახურში წასვლა ვერ შეძლეს, ვინაიდან მათი ონკანებიდან წყლის ნაცვლად ლუდის, ბრენდის და რომის ნაზავი მოედინებოდა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ საცხოვრებელი კომპლექსის მახლობლად ექვსი ათასი ლიტრი კონფისკირებული ალკოჰოლური სასმელი იყო მიწაში ჩამარხული, საიდანაც მან გაჟონვა დაიწყო და წყლის მომარაგების სისტემას შეერია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება უზრუნველყო და პრობლემის მოსაგვარებელი სამუშაოები დაიწყო.

# ცოლ-ქმარი ქორწილის 70 წლისთავზე გამდიდრდა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ ლამბერტონის მკვიდრმა ცოლ-ქმარმა ჯეკპოტი საკუთარი ქორწილის 70 წლისთავზე მოხსნა.

ჯეიმს და მაქსინ ჰილიკერების თქმით, ისინი ლატარია ქეშ5-ს ათეულობით წლების განმავლობაში ყოველ სამშაბათს თამაშობენ.

– მასში ჩვენ ერთსა და იმავე ციფრებს ვიყენებთ: ჩემი დაბადების დღის თარიღს, მეუღლისა და ჩემი სამი დის, – განმარტა მაქსინმა, – მაგრამ ჩვენ მსხვილი თანხა არასოდეს მოგვიგია.

თუმცა გასულ კვირას ჯეიმსმა აღმოაჩინა, რომ მათმა ბილეთმა მსხვილი თანხა მოიგო.

ჰილიკერები მოულოდნელად 768,86 ათასი დოლარით გამდიდრდნენ. მათი თქმით, ლატარიაში მოგება სწორედ რომ დროული აღმოჩნდა.

– მომავალ კვირას ჩვენი ქორწილის წლისთავი გვაქვს, – აღნიშნა ჯეიმსმა იმ დროს, როდესაც მოგების მისაღებად მივიდა, – დღეს კი 90 წლის გავხდი. ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეა.

გამარჯვებულმა წყვილმა განაცხადა, რომ მოგებული ფულით ქორწილის წლისთავის აღნიშვნასა და კრუიზში წასვლას გეგმავენ.

# ქალმა გარყვნილისგან თავი კორონავირუსის იმიტირებით დაიცვა



ჩინეთის ქალაქ ცზინშანის მკვიდრმა ქალბატონმა თავის სახლში შეჭრილი მოძალადე და მძარცველი იმით შეაშინა, რომ უთხრა, რომ ახლახან დაბრუნდა უხანიდან და კორონავირუსით იყო დაავადებული. ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. მძინარე ჩინელის სახლში ბოროტმოქმედი შეიჭრა. ქალმა ნაბიჯების ხმა გაიგონა, გაეღვიძა და ხმამაღლა დაიძახა. დამნაშავემ ხელი კისერში წაუჭირა, პირზე ხელი ააფარა და გაუპატიურება მოუნდომა.

დიასახლისმა მისი შეშინება გადაწყვიტა და კორონავირუსის იმიტირება მოიგონა. მან ხველა დაიწყო და უთხრა:

– ახლახან დავბრუნდი უხანიდან და ინფექციის სიმპტომები დამეწყო. ამიტომაც ვზივარ სახლში, რომ სხვებსაც არ გადაედოთ.

მისი სიტყვების მოსმენის შემდეგ თავდამსხმელი გაიქცა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მან თან გაიყოლა ტელეფონი და 3,08 ათასი იუანი ნაღდი ფული.

ქალმა პოლიციას მიმართა და სამართალდამცავებმა თავდამსხმელზე ძებნა გამოაცხადეს, თუმცა ის მალე თავად გამოცხადდა პოლიციაში და დანაშაული აღიარა. ის ქალაქ ჩუნცინის 25 წლის მცხოვრები აღმოჩნდა, რომელიც სახლიდან ოჯახის წევრებთან ჩხუბის გამო გაიქცა.

# მამაკაცი 15 წელი ერთსა და იმავე ციფრებს ათამაშებდა და ბოლოს გამდიდრდა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ ნიუბერის მცხოვრები 15 წლის განმავლობაში ციფრების ერთსა და იმავე კომბინაციას ათამაშებდა და ჯეკპოტი მოხსნა.

ამერიკელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამტკიცებს, რომ ბოლო წლებია ლატარიის ბილეთებში ერთსა და იმავე ციფრებს 3-11-19-27-35 წერდა. მისი თქმით, აღნიშნული კომბინაცია მისი ცხოვრების აღსანიშნავი თარიღებისგან შედგება.

25 იანვარს მამაკაცმა ლატარიის მორიგ გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და ბოლოსდაბოლოს გამდიდრდა. მისი საყვარელი ციფრებით შევსებულმა ლატარიის ბილეთმა 100 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა აღიარა, რომ აპირებს მომავალშიც გააგრძელოს ამ ციფრებით თამაში.

– ისე დიდხანს ვიყენებდი ამ ციფრების კომბინაციას, რომ შეჩერებას არ ვაპირებ, – ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელმა. მას არ დაუზუსტებია, თუ რაში აპირებს მოგებული თანხის დახარჯვას.



# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

## მკვლელი ვეშაპების და დიდი თეთრი ზვიგენის დაპირისპირება ვიდეოზე გადაიღეს



მკვლელი ვეშაპების დიდ თეთრ ზვიგენზე ნადირობა ვიდეოზე იქნა გადაღებული, რომელიც შემდეგ ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელებში გამოჩნდა კადრები, რომელზეც მკვლელი ვეშაპებისა და დიდი თეთრი ზვიგენის მწვავე დაპირისპირებაა ასახული. ის სოციალურ ქსელში საზღვაო ექსკურსიამძღოლმა დონავან სმიტმა განათავსა. მისი თქმით, აღნიშნული ვიდეო ერთ-ერთი ტურისტული გასეირნების დროს ქალაქ კეიპტაუნიდან დაახლოებით 400 კილომეტრში გადაიღო.

კადრებში ჩანს, თუ როგორ მისდევს ორი მკვლელი ვეშაპი თეთრ ზვიგენს და მასზე თავდასხმისთვის ემზადებიან. ვიდეო იმ დროს მთავრდება, როდესაც დაპირისპირების მონაწილეები გემს დიდი მანძილით დაშორდნენ და თვალს მიეფარნენ. დიდი თეთრი ზვიგენის შემდგომი ბედი უცნობია.

– ეს შთამბეჭდავია! ასეთ რამეს ძალიან იშვიათად თუ ნახავ, – განაცხადა საკუთარი შთაბეჭდილების თაობაზე სმიტმა. მისი მტკიცებით, მკვლელი ვეშაპები დიდი თეთრი ზვიგენის ბუნებრივი მტრები არიან. მათთან შეხვედრის შემდეგ თეთრი ზვიგენი თავის საბინადრო ადგილს ტოვებს და იქ მხოლოდ წლების შემდეგ ახერხებს დაბრუნებას.

## ორი ქალი ერთ მამაკაცს გაჰყვა ცოლად და ნათესავები გაანაწყენეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის სამმა მცხოვრებმა საქორწინო ცერემონია მოაწყო, რომლის დროსაც ორი პატარძალი ერთ სიძეს გაჰყვა ცოლად.

35 წლის ვანესამ და ჯიმიმ ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს და მისი დასრულების შემდეგ დაიწყეს შეხვედრა. გარკვეული დროის შემდეგ გოგონამ თავის შეყვარებულს საკუთარი ბისექსუალურობის თაობაზე განუცხადა. წყვილი შეხვდა სამერს, რომელიც მათზე ათი წლით უმცროსია და მას მათ ურთიერთობაში ჩართვა შესთავაზეს. მას შემდეგ ეს სამეული ერთად ცხოვრობს და ეს ურთიერთობა უკვე ექვსი წელია გრძელდება.

2019 წლის აპრილში ჯიმიმ ორივე გოგონას ხელი სთხოვა. მათ არაოფიციალური საქორწინო ცერემონია გამართეს, რომელზეც ნათესავები და მეგობრები მიიწვიეს. მათი ახლობლებიდან ზოგიერთმა მათ მიმართ საკუთარი მხარდაჭერა გამოხატა, თუმცა ისეთებიც იყვნენ, რომლებიც იმდენად გაანაწყენა მათმა გადაწყვეტილებამ, რომ ცერემონიაზე დასწრებაზე უარი განაცხადეს.

ქორწილს სამერის მშობლები დაესწრნენ და მას შემდეგ, რაც ნახეს, თუ ასეთი კავშირით როგორ ბედნიერად გრძნობს თავს მათი ქალიშვილი, თავადაც შევიდნენ პოლიამორულ ურთიერთობაში. სამაგიეროდ ასეთი ურთიერთობის სასტიკი მოწინააღმდეგეები აღმოჩნდნენ ჯიმის მშობლები და ისინი საქორწინო ცერემონიას არ დასწრებიან, რამაც სამივე შეყვარებულს გული ძალიან დასწყვიტა.

## ნარკომოვაჭრემ თავისი შეტყობინება შეცდომით პოლიციელს გაუგზავნა



ინგლისის იორკშირის საგრაფოს ქალაქ ლიდსში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ნარკომოვაჭრემ საკუთარი შეტყობინება შემთხვევით პოლიციელს გაუგზავნა და ციხეში ამოყო თავი.

22 წლის მარტინას ბენოსენკომ რესტორანში შეფმზარეულის სამსახური დაკარგა და გადაწყვიტა, ფული ნარკოტიკების გაყიდვით გამოემუშავებინა. 2018 წლის აგვისტოში ლიდსში მიმდინარე მუსიკალური ფესტივალის დროს მან უნებურად პოლიციელის კუთვნილ ნომერზე ტექსტური შეტყობინება გაგზავნა საკუთარი მომსახურების რეკლამით.

დაცვამ ბენოსენკო იმ დროს შენიშნა, როდესაც ის, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, საეჭვოდ იქცეოდა. ჩხრეკის დროს ეჭვმიტანილის ჩანთაში კოკაინი და მდმა აღმოაჩინეს, რომელთა საერთო ღირებულება 3,65 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენდა.

ბენოსენკომ ნარკოტიკების შენახვისა და მისი გასაღების ბრალდება აღიარა. სასამართლოში მისმა ადვოკატმა კრისტოფ დანმა განაცხადა, რომ მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა ნარკოტიკების გაყიდვა მათი ზემოქმედების ქვეშ მყოფმა გადაწყვიტა, ვინაიდან იფიქრა, რომ ფინანსურ მოგებას მიიღებდა, თუმცა ვერ გაიაზრა, თუ რაში ყოფდა თავს.

სასამართლომ ბენოსენკოს სამი წლითა და ოთხი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა თანაგრძნობით ვითავისებ განსაცდელში მყოფ მარინა ნაბიჯაშვილის გულის ტკივილს, საყვარელი მამის

**მათე ნაბიჯაშვილის**

გარდაცვალების გამო.

მარი, შენ ვალმოხდილი შვილი ხარ, უდედოდ დარჩენილი თოთო ბავშვივით უვლიდი ხანდაზმულ მამას.

ნათელი ადგეს მის სამარადისო სასუფეველს.

ვუთანაგრძნობ მთელ თქვენს დამწუხრებულ ოჯახს...

**შენი ზღვადმოსიყვარულე ნანა დარჩიაშვილი**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## შერმადინი საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებულია

გიორგი შერმადინის ტენერიფე ესპანეთის ჩემპიონატში ისვენებდა, რადგან საკონტინენტთაშორისო თასზე თამაშობდა. კანარელებმა ფინალში ბოლონიის ვირტუსს 80:72 მოუგეს და ტურნირის გამარჯვებული გახდნენ.

საქართველოს ნაკრების ცენტრმა გიორგი შერმადინმა 26 წუთი ითამაშა, რომლის დროსაც 18 ქულა, 7



მოხსნა და 1 ჩაჭრა მოინაგრა. ჩვენებურმა 12-დან 6 ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. მისმა თანაგუნდელმა მარსელინიო უერტასმა 23 ქულას მოუყარა თავი და ტურნირის საუკეთესო კალათბურთელადაც დასახელდა. ტენერიფემ საკონტინენტთაშორისო თასი უკვე მეორედ მოიგო. 2017 წლის ფინალში კანარელებმა ვენესუელის წარმომადგენელი გუაროს დე ლარა 76:71 დაამარცხეს.

ესპანეთის ჩემპიონატში კვლავ გაიბრწყინა თორნიკე შენგელიამ. ბასკონიას ქართველმა კაპიტანმა მორიგი შედეგიანი მატჩი ობრადოიროსთან ჩაატარა და შეხვედრის უძვირფასესი მოთამაშე ხომ გახდა, დიდი შანსია, ესპანური ლიგა ენდესას 21 ტურის მვპ-ც გახდეს.

ბასკონიელებმა მეტოქეს 83:69 სძლიეს, ქართველმა მძიმე ფორვარდმა კი მოედანზე 35 წუთი გაატარა და 19 ქულა, 7 მოხსნა (2 შეტევაში), 3 პასი და 4 ჩაჭრა მოაგროვა. თორნიკემ 6-ვე ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, შენგელიას სარგებლიანობის კოეფიციენტი 33-ს გაუტოლდა და ეს, ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ბასკონიას 10 მოგება და 11 მარცხი მოუგროვდა და 1 გამარჯვებითღა ჩამორჩება საფლეიოფო ზონას, მომდევნო შეხვედრას კი, სტუმრად, ფუენლაბრადასთან ჩაატარებს.

ბექა ბურჯანაძემ ევროპული გრანდის, ბარსელონას წინააღმდეგ შედეგიანად ითამაშა. ქართველი ფორვარდის გრან კანარიამ ბარსელონას" უმასპინძლა და 65:81 დამარცხდა.

კანარელთაგან 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ 2-მა კალათბურთელმა გადალახა: ბურჯანაძემ 13 ქულა ჩააგდო, ხავიერ ბეირანმა – 11. ბექას სრული მონაგარი ასეთი იყო: 22 წუთი, 13 ქულა (3/3 სამქულიანი, 2/1 ორქულიანი, 2/2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 პასი.

გრან კანარიას 19 ტურის შემდეგ 9 მოგება აქვს და მე-11 პოზიციაზეა.

## შედეგები

### 9 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ოლიმპიადა 2020. შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

კოლუმბია-ურუგვაი ........................ 1:3
ბრაზილია-არგენტინა ..................... 3:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

შეფილდი-ბორნმუთი ....................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 25 | 24 | 1 | 0 | 60-15 | 73 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 3 | 6 | 65-29 | 51 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 54-26 | 49 |
| 4.ჩელსი | 25 | 12 | 5 | 8 | 43-34 | 41 |
| 5.შეფილდი | 26 | 10 | 9 | 7 | 28-24 | 39 |
| 6.ტოტენჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 40-32 | 37 |
| 7.ევერტონი | 26 | 10 | 6 | 10 | 34-38 | 36 |
| 8.მანჩესტერი | 25 | 9 | 8 | 8 | 36-29 | 35 |
| 9.ვულვზი | 25 | 8 | 11 | 6 | 35-32 | 35 |
| 10.არსენალი | 25 | 6 | 13 | 6 | 32-34 | 31 |
| 11.ბარნლი | 25 | 9 | 4 | 12 | 28-38 | 31 |
| 12.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 24-36 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-46 | 31 |
| 14.კრ.პალასი | 26 | 7 | 9 | 10 | 23-32 | 30 |
| 15.ბრაიტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 31-38 | 27 |
| 16.ბორნმუთი | 26 | 7 | 5 | 14 | 26-40 | 26 |
| 17.ასტონ ვილა | 25 | 7 | 4 | 14 | 32-47 | 25 |
| 18.ვესტ ჰემი | 25 | 6 | 6 | 13 | 30-43 | 24 |
| 19.უოტფორდი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-40 | 24 |
| 20.ნორვიჩი | 25 | 4 | 6 | 15 | 24-47 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მილუოლი-ვესტ ბრომვიჩი ............. 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ლაიფციგი ........................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 13 | 4 | 4 | 58-23 | 43 |
| 2.ლაიფციგი | 21 | 12 | 6 | 3 | 53-25 | 42 |
| 3.დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 59-32 | 39 |
| 4.გლადბახი | 20 | 12 | 3 | 5 | 38-23 | 39 |
| 5.ლევერკუზენი | 21 | 11 | 4 | 6 | 35-27 | 37 |
| 6.შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 32-27 | 35 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 21 | 10 | 3 | 8 | 31-32 | 33 |
| 8.ფრაიბურგი | 21 | 9 | 5 | 7 | 30-30 | 32 |
| 9.აინტრახტი | 21 | 8 | 4 | 9 | 36-31 | 28 |
| 10.ვოლფსბურგი | 21 | 7 | 7 | 7 | 25-26 | 28 |
| 11.უნიონი | 21 | 8 | 2 | 11 | 25-32 | 26 |
| 12.აუგსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 33-44 | 26 |
| 13.კიოლნი | 20 | 7 | 2 | 11 | 27-38 | 23 |
| 14.ჰერტა | 21 | 6 | 5 | 10 | 25-37 | 23 |
| 15.მაინცი | 21 | 7 | 0 | 14 | 31-48 | 21 |
| 16.ფორტუნა | 21 | 4 | 5 | 12 | 20-42 | 17 |
| 17.ვერდერი | 21 | 4 | 5 | 12 | 25-48 | 17 |
| 18.პადერბორნი | 21 | 4 | 4 | 13 | 26-45 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-რეგენსბურგი ..................... 6:0
ვისბადენი-ბოხუმი ......................... 0:1
ფიურტი-ჰანოვერი ......................... 1:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-მალიორკა ..................... 1:0
სოსიედადი-ბილბაო ........................ 2:1
ოსასუნა-რეალი ............................. 1:4
სელტა-სევილია ............................. 2:1
ბეტისი-ბარსელონა ......................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 23 | 15 | 7 | 1 | 44-14 | 52 |
| 2.ბარსელონა | 23 | 15 | 4 | 4 | 55-28 | 49 |
| 3.ხეტაფე | 23 | 12 | 6 | 5 | 35-20 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 10 | 9 | 4 | 23-15 | 39 |
| 5.სოსიედადი | 23 | 11 | 4 | 8 | 39-31 | 37 |
| 6.სევილია | 23 | 11 | 6 | 6 | 29-23 | 39 |
| 7.ვალენსია | 23 | 10 | 7 | 6 | 33-32 | 37 |
| 8.ვილიარეალი | 23 | 10 | 5 | 8 | 40-31 | 35 |
| 9.ბილბაო | 23 | 7 | 10 | 6 | 23-19 | 31 |
| 10.გრანადა | 23 | 9 | 3 | 11 | 27-30 | 30 |
| 11.ლევანტე | 23 | 9 | 2 | 12 | 29-34 | 29 |
| 12.ოსასუნა | 23 | 6 | 10 | 7 | 30-32 | 28 |
| 13.ბეტისი | 23 | 7 | 7 | 9 | 32-37 | 28 |
| 14.ალავესი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-33 | 27 |
| 15.ვალიადოლიდი | 23 | 5 | 11 | 7 | 19-25 | 26 |
| 16.ეიბარი | 23 | 6 | 6 | 11 | 22-32 | 24 |
| 17.სელტა | 23 | 4 | 8 | 11 | 19-32 | 20 |
| 18.მალიორკა | 22 | 5 | 3 | 14 | 22-38 | 18 |
| 19.ლეგანესი | 23 | 4 | 6 | 13 | 18-38 | 18 |
| 20.ესპანიოლი | 23 | 4 | 6 | 13 | 19-40 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალბასეტე-პონფერადინა ................. 1:1
ალკორკონი-დეპორტივო ................. 0:1
ხიხონი-მირანდესი ......................... 2:2
ლუგო-ელჩე .................................. 2:2
რაიო-ოვიედო ................................ 1:1
მალაგა-ნუმანსია ............................ 2:1

**იტალია. სერია ა**

სპალი-სასუოლო ............................ 1:2
ბრეშა-უდინეზე .............................. 1:1
ჯენოა-კალიარი .............................. 1:0
ნაპოლი-ლეჩე ................................ 2:3
პარმა-ლაციო ................................ 0:1
ინტერი-მილანი ............................. 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 23 | 17 | 3 | 3 | 44-23 | 54 |
| 2.ინტერი | 23 | 16 | 6 | 1 | 48-20 | 54 |
| 3.ლაციო | 23 | 16 | 5 | 2 | 53-20 | 53 |
| 4.ატალანტა | 23 | 12 | 6 | 5 | 61-31 | 42 |
| 5.რომა | 23 | 11 | 6 | 6 | 42-30 | 39 |
| 6.ვერონა | 23 | 9 | 7 | 7 | 28-24 | 34 |
| 7.ბოლონია | 23 | 9 | 6 | 8 | 37-36 | 33 |
| 8.კალიარი | 23 | 8 | 8 | 7 | 38-35 | 32 |
| 9.პარმა | 23 | 9 | 5 | 9 | 31-30 | 32 |
| 10.მილანი | 23 | 9 | 5 | 9 | 25-31 | 32 |
| 11.ნაპოლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36-34 | 30 |
| 12.სასუოლო | 23 | 8 | 5 | 10 | 38-38 | 29 |
| 13.ტორინო | 23 | 8 | 3 | 12 | 27-42 | 27 |
| 14.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 26-34 | 25 |
| 15.უდინეზე | 23 | 7 | 4 | 12 | 20-36 | 25 |
| 16.სამპდორია | 23 | 6 | 5 | 12 | 25-38 | 23 |
| 17.ლეჩე | 23 | 5 | 7 | 11 | 30-44 | 22 |
| 18.ჯენოა | 23 | 4 | 7 | 12 | 24-43 | 19 |
| 19.ბრეშა | 23 | 4 | 4 | 15 | 21-42 | 16 |
| 20.სპალი | 23 | 4 | 3 | 16 | 17-40 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ვირტუსი-პესკარა ........................... 2:0
პიზა-კიევო .................................. 1:1
კოზენცა-ბენევენტო ........................ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონპელიე-სტ.ეტიენი ...................... 1:0
სტრასბური-რეიმსი ........................ 3:0
პსჟ-ლიონი ................................... 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 20 | 1 | 3 | 63-17 | 61 |
| 2.მარსელი | 24 | 14 | 7 | 3 | 33-21 | 49 |
| 3.რენი | 24 | 12 | 5 | 7 | 29-22 | 41 |
| 4.ლილი | 24 | 12 | 4 | 8 | 29-25 | 40 |
| 5.მონპელიე | 24 | 10 | 7 | 7 | 32-27 | 37 |
| 6.სტრასბური | 24 | 11 | 3 | 10 | 31-28 | 36 |
| 7.მონაკო | 24 | 10 | 5 | 9 | 40-40 | 35 |
| 8.ბორდო | 24 | 9 | 7 | 8 | 33-26 | 34 |
| 9.ლიონი | 24 | 9 | 6 | 9 | 37-25 | 33 |
| 10.რეიმსი | 24 | 8 | 9 | 7 | 22-19 | 33 |
| 11.ნიცა | 24 | 9 | 6 | 9 | 34-34 | 33 |
| 12.ნანტი | 24 | 10 | 3 | 11 | 25-27 | 33 |
| 13.ანჟე | 24 | 8 | 6 | 10 | 24-32 | 30 |
| 14.ბრესტი | 24 | 7 | 9 | 8 | 29-31 | 30 |
| 15.სტ.ეტიენი | 24 | 8 | 4 | 12 | 25-38 | 28 |
| 16.მეცი | 24 | 6 | 9 | 9 | 24-32 | 27 |
| 17.დიჟონი | 24 | 6 | 7 | 11 | 22-29 | 24 |
| 18.ნიმი | 24 | 6 | 6 | 12 | 24-37 | 24 |
| 19.ამიენი | 24 | 4 | 8 | 12 | 25-43 | 20 |
| 20.ტულუზა | 24 | 3 | 4 | 17 | 21-49 | 13 |

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

მორეირენშე-სეტუბალი .................. 1:1
ტონდელა-მარიტიმუ ....................... 0:0
სპორტინგი-პორტიმორენშე .............. 2:1
ავიში-რიუ ავე ............................... 0:4

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-ლუცერნი ......................... 0:1
სტ.გალენი-სერვეტი ....................... 1:0
თუნი-ლუგანო ................................ 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-არისი ............................. 1:1
ატრომიტოდი-ოლიმპიაკოსი ............. 0:1
პაოკი-ოფი .................................... 4:0
აეკი-პანათინაიკოსი ........................ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ანთალია .......................... 2:2
სივასი-ბაშაქშეჰირი ....................... 1:1
ქაშიმფაშა-გალათასარაი .................. 0:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-პოგონი ............................ 2:3
**(პლოცკის პირველი გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა)**
პიასტი-ზაგლებიე ........................... 2:0
ლეგია-ლოძი ................................. 3:1

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** მაფიის სახელწოდება იტალიაში; 2. ყალბი, არანამდვილი რამე; 3. მარადმწვანე ხვიარა, მცოცავი მცენარე; 5. ახლად ამოსული პურის ყანა; 6. პოპულარული ბარ-რესტორანი თბილისში; 7. დანიის, ნორვეგიის, შვეციის მეფეთა ტიტული; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 14. საინფორმაციო ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 15. იტალიელი მოქანდაკე, სკულპტურა „პროზერპინას მოტაცების" ავტორი; 16. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 17. ცნობილი იტალიელი ფეხბურთის მეკარე; 19. იგავ-არაკთა მამამთავარი; 20. ალიასკის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი.

**თარაზულად:** 1. შენობის, ნაგებობის ჩონჩხი; 4. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 9. მუსლიმანური სამლოცველო; 10. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, ველური გოგრისგან დამზადებული გრძელტარიანი ჭურჭელი; 12. ქართული სანადიმო სიმღერა; 14. ფულის ერთეული ურუგვაიში; 15. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 18. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 21. აკვიატებული შიში; 22. ტელეკომპანია „სიენ-ენის" მფლობელი; 23. ხეობა კახეთში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ზღაპარი; 5. ინდრა; 7. ნელსონი; 9. რევანში; 10. კიკლოპი; 13. კარკასი; 14. კარადა; 15. ვაზა; 19. ადრიანო; 20. ილეალური; 21. კოლომბინა; 22. კისელი.

**შვეულად:** 1. ზღარბი; 2. პასატი; 3. მეთოდიკა; 4. ინდიგო; 6. რაფინადი; 8. ეშმაკი; 11. გასტროლი; 12. პანდორა; 16. მარაო; 17. ედემი; 18. მარსი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 თებერვალი

აშშ დოლარი — 2.8629

ევრო — 3.1354

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7009

100 რუსული რუბლი — 4.4852

## ამინდის პროგნოზი 11 თებერვლისთვის








## 11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

# სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## ბერა ივანიშვილმა და ნანუკა გუდავაძემ ბერუკას ფოტოები გაასაჯაროვეს



მომღერალმა ბერა ივანიშვილმა და მისმა მეუღლემ ნანუკა გუდავაძემ პატარა ბერუკას ფოტოები სოციალურ ქსელში გაავრცელეს.

ბერუკას ფოტოები ინტერნეტში აქამდეც ვრცელდებოდა, თუმცა მას სახე ყველგან დამალული ჰქონდა.

ამჯერად მშობლებმა გადაწყვიტეს, პატარა ბიჭის სახე გამოეჩინათ და დაინტერესებული საზოგადოებისთვის ბერუკა ივანიშვილი გაეცნოთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერუკას ფოტოებმა ინტერნეტში ბევრი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

## „დიდ სცენას" ომა ფავორი გამოეთიშა



მუსიკალურ შოუს „დიდ სცენას" ომა ფავორი გამოეთიშა.

ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის ტური მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. შოუდან გავარდნის კანდიდატები წინა საკონკურსო ტურის მიხედვით ლუკა ჩაკვეტაძე და ომა ფავორი იყვნენ. ლუკამ პროექტში დარჩენა შეძლო, ომა კი ჟიურის და მაყურებელს დაემშვიდობა.

„დიდი სცენა" მომღერალმა ლიზა ბაგრატიონმა გახსნა, სადაც ბიძინა კვერნაძის სიმღერა „გაზაფხული მაინც მოვა" შეასრულა.

კონკურსანტებმა ბიძინა კვერნაძის ცნობილი სიმღერები შეასრულეს. შოუს ბოლოს წამყვანებმა გავარდნის ორი კანდიდატიც დაასახელეს — მარიამ ქაჯაია და ლუკა ჩაკვეტაძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:

— ახალი დაქორწინებულები რომ ვიყავით, შენთვის ცოტა კერძს იღებდი, მე კი ბევრს მიტოვებდი. რა, აღარ გიყვარვარ?

— როგორ არა, ძვირფასო, უბრალოდ, ახლა უფრო გემრიელ საჭმელს აკეთებ.

•••

ტელეფონი რეკავს, ქალი ყურმილს იღებს, ხანმოკლე საუბრის შემდეგ საყვარელს მიუბრუნდება და ეუბნება:

— ჩემი ქმარი იყო, მითხრა, რომ დააგვიანდება...

— რატომ?

— შენთან არის და პრეფერანსს თამაშობთ.

•••

ცოლი ქმარს:

— აშოტ, ჩაის ახალი პაკეტი რატომ აიღე?

— ძველს ძაფი გაუწყდა.

— მერე, ხელები რისთვის გაქვს, ვერ გადააბი?

•••

ქალი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, რომელ პოზაშია შესაძლებელი, რომ ქალი ასპროცენტიანი გარანტიით არ დაფეხმძიმდეს?

— როდესაც შენ — საწოლში, შენი პარტნიორი კი დივანზე წევხართ.

•••

ორი ხანშიშესული მამაკაცი ქუჩაში ზის. ამ დროს მათ წინ მაგარმა ქალმა ჩაიარა. ერთი მეორეს ეუბნება:

— აფსუს, ახლა 20 წლის გამხადა!

— შენ რა, გაგიჟდი? ხუთი წუთის სიამოვნებისთვის კიდევ 40 წელი გინდა იმუშაო?!

•••

ქმარი ცოლს:

— ქალო, რა გაღრიალებს?

— იქ ობობაა!

— და მერე რა?

— საშინელია!

— არც შენ მყავხარ ანგელოზი, მაგრამ ობობა არ ღრიალებს!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## დე იონგმა მსაჯები გააკრიტიკა



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა ესპანეთში მომუშავე მსაჯები გააკრიტიკა და თქვა, რომ ისინი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე არ არიან.

დე იონგის აზრით, ბეტისთან მატჩში მსაჯებმა ბარსელონას საწინააღმდეგოდ შეცდომები დაუშვეს:

— არ მიყვარს მსაჯების კრიტიკა, რადგან ვთვლი, რომ ფეხბურთელმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ აშკარაა, რომ ბეტისთან შეხვედრაში მსაჯმა მესიზე აშკარა პენალტი არ დანიშნა. ვფიქრობ, მსგავსი შეცდომები არბიტრს არ უნდა მოსდიოდეს.

ბეტისი ბარსელონამ სტუმრად 3:2 დაამარცხა.

## რომელუ ლუკაკუ: „ქალაქში ახალი მეფეა"

ინტერმა მილანურ დერბიში მილანი 4:2 დაამარცხა და იუვენტუსს ქულებით გაუთანაბრდა. მილანი შეხვედრას 2:0-ს იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში ინტერმა შეძლო გარდატეხის შეტანა და 4 უპასუხო გოლი გაიტანა. ერთ-ერთი გოლი რომელუ ლუკაკუს ანგარიშზეა, რომელმაც მატჩის შემდეგ ტვიტერზე დაწერა, რომ ქალაქს ახალი მეფე ჰყავს.

ამით მან ზლატანს დასცინა, რომელიც თავის თავს მილანის მეფედ მიიჩნევდა.

ზლატანმა თავის მხრივ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩაატარა, მაგრამ მეორეში ნორმალურად თამაში შეწყვიტა.

## ლივერპული ზაფხულში ტიმო ვერნერის ყიდვას აპირებს



ლივერპულის მთავარი სატრანსფერო სამიზნე ზაფხულში გერმანელი ფორვარდი ტიმო ვერნერი იქნება, რომელიც ამჟამად ლაიპციგის ღირსებას იცავს და ბუნდესლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ითვლება. ვერნერის მიმართ იურგენ კლოპი დიდი ხანია ინტერესს იჩენს, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტიკამდე საქმე არ მისულა. ვერნერის სატრანსფერო ფასი 60 მილიონი ევროა და ეს თანხა ლივერპულს აკმაყოფილებს. დიდი ალბათობით, ვერნერი ზაფხულში ლივერპულის ფეხბურთელი გახდება.

## იუვენტუსის ფეხბურთელებს ალეგრის დაბრუნება სურთ



იუვენტუსის ხელმძღვანელობა მაურისიო სარის მუშაობით ბოლომდე კმაყოფილი არ არის და შესაძლოა ის თანამდებობიდან გაათავისუფლონ. განსაკუთრებით ვერონასთან მარცხის შემდეგ, როდესაც იუვენტუსი იგებდა, მაგრამ საბოლოოდ წააგო.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუვენტუსის რამდენიმე ფეხბურთელს მასიმილიანო ალეგრის დაბრუნება სურს გუნდში.

## კიკე სეტიენი: „რთული შეხვედრა მოვიგეთ"

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა განაცხადა, რომ ბეტისთან შეხვედრა მისი გუნდისთვის ძალიან რთული გამოდგა, მაგრამ მთავარი შედეგია. სეტიენის აზრით, ბარსელონა უმატებს და მომავალ შეხვედრებში კიდევ უფრო ლაღ ფეხბურთს ითამაშებს:

— მეტოქემ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, მაგრამ ჩვენ შევძელით და სირთულეები გადავლახეთ, თუმცა მოგებამ ბევრი ძალა წაგვართვა. ტრავმები პრობლემებს გვიქმნიან, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია მაღალ დონეზე თამაში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ელდარ შენგელაიამ ახალი ფილმი გადაიღო



„ჭა" — ასე ეწოდება მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელიც 87 წლის რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ გადაიღო.

ფილმში ნინელი ჭანკვეტაძე, გიორგი გურგულია, ვასიკო ოდიშვილი და სხვა ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ. ფილმის ჩვენება უკვე შედგა, სადაც რეჟისორის მეგობრებმა, კოლეგებმა და მსახიობებმა ელდარ შენგელაიას ამოუწურავ შესაძლებლობებზე ისაუბრეს. როგორც თავად რეჟისორმა განაცხადა, ეს არის ტრილოგიის პირველი ფილმი. იგი კიდევ ორ მოკლემეტრაჟიან ფილმს გადაიღებს, ერთ ფილმად შეკრავს და ტრილოგიის სახით მაყურებელს სრულიად ახალ ნამუშევარს შესთავაზებს.

## ჯიჯი ჰადიდი საზოგადოებაში შიშველ ტანზე ჩაცმული გამჭვირვალე კაბით გამოჩნდა



ამერიკელმა სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა პოდიუმზე შიშველ სხეულზე ჩაცმული გამჭვირვალე კაბით მოიწონა თავი. ამერიკული ბრენდის ტომ ფორდის შემოდგომა-ზამთარი 2020-ის კოლექციის ჩვენებაზე გადაღებული ფოტოსურათი ინსტაგრამში ბრენდის გვერდზე იქნა განთავსებული.

24 წლის პალესტინური წარმომავლობის მოდელი ნიუ-იორკის მაღალი მოდის ჩვენებაზე გრძელმაქმანებიან შავი ფერის კაბაში გამოწყობილი გამოვიდა, რომელშიც მკერდი მოუჩანდა. ჰადიდის კაბას ხავერდის ბაფთა ამშვენებდა, რომელიც მუცლის ქვევით ეკეთა.

## ასტროპროგნოზი



11 თებერვლისთვის

**ვერძი** — თავგადასავლებითა და პროვოკაციებით სავსე დღეა. ახლობელთან კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა თქვენი მეტისმეტი ქედმაღლობა და სიჯიუტე გახდეს. **კურო** — ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. არაკეთილისმყოფელი პერიოდია კოლექტიური მუშაობისათვის. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** — საშუალება გეძლევათ, გააფართოვოთ სამოქმედო არეალი. ახალი იდეების ხორცშესხმა სავსებით რეალურია. **კირჩხიბი** — ნათესავებთან და ძველ მეგობრებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. დღეს აკრძალულია ნებისმიერი კაპიტალდაბანდება. **ლომი** — პარტნიორთან მაქსიმალურად თავშეკავებული და წინდახედული იყავით, თუმცა მოთმინებასაც საზღვარი აქვს. **ქალწული** — მთელი ენერგიის კონცენტრირება თავდაცვისკენ მოახდინეთ. არ არის გამორიცხული კონფლიქტი ეჭვიანობის ან ფინანსური პრობლემების ნიადაგზე. **სასწორი** — კოლეგებთან ურთიერთობაში აუცილებელია პატიოსნება და გულწრფელობა. სამსახურში სიძნელეებს წააწყდებით. საღამოს განმარტოვდით მყუდრო გარემოში. **ღრიანკალი** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. თქვენი ღირსებები სათანადოდ დაფასდება. **მშვილდოსანი** — ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებსა და მატერიალურ ფასეულობებს. ნებისმიერ უსიამოვნებას ემოციების გარეშე შეხვდით. **თხის რქა** — მშვიდად იმუშავეთ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. დიდი ხნის ოცნების ასრულებას მოულოდნელად მიღებული ინფორმაცია შეუშლის ხელს. **მერწყული** — ენერგეტიკული პოტენციალი სუსტდება. მოვლენები თქვენთვის არასასურველი კუთხით განვითარდება. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **თევზები** — დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულეთ. თქვენი შრომისმოყვარეობა აუცილებლად სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 2. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 3. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 5. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 7. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 13. ალუმინის შემცველი მადანი; 15. უცხო მხრიდან შემოტანილი მცენარე ან შემოყვანილი ცხოველი; 16. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 18. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად:** 4. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 6. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 8. წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი გრამატიკაში; 10. ნაციონალური პარკი-ნაკრძალი კენიაში; 11. სამხრეთ ამერიკის გვიანაში განთავსებული საფრანგეთის კოსმოდრომი; 12. ტერიტორიული ერთეული ირანში; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 17. შავი ზღვის ძველი სახელწოდება; 19. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 21. გერმანული ავტომობილი; 22. არენა ინგლისში, სადაც იმართება ძაღლების რბოლა; 23. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა